# ახალგაზრდა ივერიელი

დაარსდა 1921 წელს

26 მარტი სამშაბათი 1991 № 35 (11668)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნიშვნელოვანი შეხვედრა



გუშინწინ, ყაზბეგში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა და ესაუბრა რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს ბატონ ბორის ელცინს. მასალას ამ შეხვედრის შესახებ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# „ჩვენ ძმები ვართ და ერთი გზა გვაქვს...“

**თბილისის სომეხი მოსახლეობის [illegible] 31 მარტის რეფერენდუმის მხარდას. ჭერად**

მალე მოვა 31 მარტი, როცა საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობას მიიღებს რეფერენდუმში რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარ მილიონს შეადგენენ სომხები. ვის მხარეს დაიკავებენ ისინი? მზად არიან თუ არა თქვან „დიახ“ საქართველოს დამოუკიდებლობაზე?

— ჩვენ, სომხები და ქართველები ძმები ვართ, ჩვენი ბედი ერთმანეთს ჰგავს, ჩვენ ერთი გზა გვაქვს. თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო სომეხი ხალხის სანუკვარი ოცნებაა. დარწმუნებული ვარ, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი სომხეთის ხილვა სურს თითოეულ ქართველს, — თქვა 31 მარტის რეფერენდუმის მხარდასაჭერად თბილისის სომეხი მოსახლეობის მიტინგის გახსნისას, თბილისის სომხური დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მიქაელ გრიგორიანმა.

მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, 24 მარტს გაიმართა თეატრის წინ მდებარე სკვერში. ქეთევან წამებულის ქუჩას, თეატრის ახლომდებარე სახლების შენობებს ამშვენებს ტრანსპარანტები: „სომხებო, როგორც ყოველთვის, ისტორიულად, იყავით ქართველებთან ერთად!“. „სომხებო! 31 მარტს ქართველებთან ერთად ხმა მიეცით ერთიან, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს!“ და სხვა.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან სომეხი ინტელიგენციის, საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის წარმომადგენლები. აი, რას ამბობენ ისინი:

**ბენიკ სეირანიანი, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის თავმჯდომარე:** „სომხეთი და საქართველო ორი ქრისტიანული სახელმწიფოა კავკასიაში, მათ ერთი ბედი, სიხარული, ტრადიციები აქვთ. და ისინი ყოველთვის უნდა იყვნენ ერთად, ერთმანეთის გვერდით“.

**სერიკ შეკოიანი, საქართველოს სახალხო არტისტი და სომხეთის დამსახურებული არტისტი:** „დღეს, სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფი ქართველი და სომეხი ერები თავს არ გრძნობენ უზრუნველყოფილად არც ფიზიკურად, არც სოციალურად, არამედ იმყოფებიან მონების მდგომარეობაში. თავიანთი ბედი და ხვალინდელი დღე მათ თვითონ უნდა გადაწყვიტონ“.

**ვორის ლომსაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი (სიტყვას ამბობს სომხურად):** „ბავშვობიდან ვიზრდებოდი სომეხთა შორის, შევისწავლე მათი ენა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი. ვერ წარმომიდგენია თავი სომხური გარემოცვის გარეშე. მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრებით შეიძლება გარანტირებული იყოს ადამიანის უფლებანი, მათგან ყველაზე მთავარი სიცოცხლის თავისუფლებისა და ბედნიერების უფლება, საქართველოში მცხოვრებო სომხებო, ჩემო ღვიძლო დებო და ძმებო, ხმა მიეცით საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას!

**რაფიელ ჩიმიშკიანი, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი:** „აფხაზეთში მცხოვრებ სომხთაგან განსხვავებით მინდა მქონდეს თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრებ სომეხთა გონიერებისა და სიბრძნის იმედი, რომლებიც ხმას მისცემენ ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობას. დავგმოთ იმ სომეხთა მოქმედება, რომლებმაც ფარ-ხმალი დაყარეს აფხაზ ექსტრემისტთა მუქარით და იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ 17 მარტის რეფერენდუმში. კიდევ ერთი ასეთი შეცდომა შეიძლება მეტისმეტად ძვირად დაგვიჯდეს ყველას—ჩვენ, საქართველოს სომხებს, იყავით კეთილგონიერნი, ძმებო სომხებო!“.

მიტინგზე მიიღეს მიმართვა საქართველოს მცხოვრები ყველა სომხიდან, რომელიც მოუწოდებს ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღონ 31 მარტის რეფერენდუმში, დაიგმო აფხაზეთსა და მესხეთ-ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ცალკეული ფენების მოქმედება, რომლებიც დესტრუქციული ელემენტების — ცენტრისა და კრემლის ზეგავლენით ცდილობენ შეიტანონ განხეთქილება საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მოძრაობაში.

მიტინგში მონაწილეობდნენ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ თბილისის ისნის რაიონის გაერთიანების წარმომადგენლები.

ამავე დღეს მიტინგის ათობით მონაწილემ გარკვეული ფულადი სახსრები — 25 მანეთიდან 500 მანეთამდე ოდენობით შეიტანა სამაჩაბლოდან ლტოლვილთა დახმარების ფონდში. მათ შორის არიან ძმები კამალიანები, ა. მარქანიანი, ა. მანუკიანი, რ. გაბაიანი, მურადიანი, მღვდელი ელიშე (ერისკაცობაში რ. არუთინიანი), მრავალი სხვა. 500 მანეთი შეიტანეს თბილისში სომხური ეკლესიის წარმომადგენლებმა.

**რემ დავიდოვი,**
**საქინფორმის კორესპონდენტი**

# ვითარება სამაჩაბლოში

სამაჩაბლოში კვლავ დაიძაბა ვითარება. 24 მარტის საღამოდან 25 მარტის გამთენიამდე ოსი ექსტრემისტები ცეცხლს უშენდნენ ცხინვალის შესასვლელთან განლაგებულ საქართველოს მილიციის საგუშაგოებსა და დროებით შტაბს.

დაუზუსტებელი ცნობებით 24 მარტს ყორნისის რაიონის რამდენიმე სოფელში მოხდა შეტაკება ქართველი და ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**
**საქინფორმი.**

**რედაქციისაგან:** ინტერვიუს ცხინვალის ახალ კომენდანტთან ბატონ თენგიზ ეპიტაშვილთან შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ

პრეფექტად დანიშნა

ქ. ქუთაისში არჩილ ანდროს ძე კოსტავა

## 31 მარტის რეფერენდუმისთვის

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენ, თბილისის ტელეგრაფის ოსი ეროვნების თანამშრომლები, შეშფოთებულნი ვართ სამაჩაბლოში შექმნილი მდგომარეობით. ყველა დაბადებული ვართ საქართველოში, გვაქვს შერეული ოჯახები. ჩვენი სამშობლო საქართველოა. აქ დავიბადეთ და აქვე უნდა დავიმარხოთ ქართველების გვერდით. ჭირში და ლხინში ყოველთვის ერთად ვიყავით და ვიქნებით კიდეც.

წლების მანძილზე ჩვენს დაწესებულებაში გვერდი-გვერდ ვმუშაობთ ქართველებთან ერთად. არც ერთი წუთით ჩვენ არ გვიგრძვნია განსხვავება და ის, რომ ჩვენ ვართ სხვა ეროვნების. ამიტომ ჩვენი თხოვნაა და მოწოდებაც, რომ მოვუხმოთ გონიერებას და ნუ ავყვებით ცენტრის პროვოკაციას. ვიცხოვროთ ისე, როგორც აქამდე ვცხოვრობდით ქართველების გვერდით და გავიზიაროთ მათი ჭირი და ლხინი.

ჩვენი კოლექტივის ოსი ეროვნების თანამშრომლები ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და მოგიწოდებთ ყველა არაქართველს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდა, 31 მარტს მივიღოთ მონაწილეობა საქართველოს რეფერენდუმში და მხარი დავუჭიროთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

**ოსი ეროვნების თანამშრომელთა სახელით:**
**ზოზიროვა,**
**გაგიევი,**
**ხუგაევა,**
**სანაკოევი.**
**სულ 20 ხელმოწერა.**

# მეშახტეები მოითხოვენ

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან ვიცით მეშახტეთა გაფიცვის შესახებ. გვაინტერესებს, რა სურთ მათ კონკრეტულად, როგორ მოთხოვნებს აყენებენ?—ამ კითხვის საპასუხოდ ყოველკვირეული „არგუმენტი ი ფაკტი“ (№ 12, 1991 წ.) აქვეყნებს „ქ. ლენინსკ-კუზნეცკის ქვანახშირის კოლექტივების მშრომელთა მოთხოვნების“ ტექსტს, რომელშიც სსრკ პრეზიდენტისა და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების უპერსპექტივობაში დარწმუნებული მეშახტეები სხვასთან ერთად, ასეთ მოთხოვნებსაც აყენებენ:

დაუყოვნებლივ გადადგეს სსრკ პრეზიდენტი, სსრკ მინისტრთა კაბინეტი, დაიშალოს სსრკ სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სსრკ უზენაესი საბჭო.

კანონიერად ჩაითვალოს ბალტიისა და ყველა იმ რესპუბლიკის გამოკითხვის შედეგები, რომლებმაც უარი თქვეს სსრკ 17 მარტის რეფერენდუმში მონაწილეობაზე.

მეშახტეთა კოლექტივები გაფიცვას სსრკ პრეზიდენტის საჯარო გადაგომის შემთხვევაში შეწყვეტენ.

დღეს ყველას პირზე აკერია პროდუქტზე ფასების მოსალოდნელი მომატება. ცხადია, დამაიმედებელი ვერ იქნება სახელისუფლებო [illegible] საკავშირო მთავრობის დაპირებები „თითქმის სრული კომპენსაციის“ შესახებ. მაინც რა და როგორ იქნება? ამ კითხვაზე, ვფიქრობთ, გარკვეულად პასუხს სცემს „არგუმენტი ი ფაქტიში“ გამოქვეყნებული მასალები, რომლის თარგმანსაც დღეს გთავაზობთ

მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლემიკა

# „არცა ქირჩხიბი მართლად ვალს..." ანუ კომუნიზმი და ქართული საზოგადოებრივი აზროვნება

**პიროვნებათა** შორის ატეხილ კამათში მუდამ ვერიდები ჩარევას, მით უმეტეს პრესის საშუალებით, მაგრამ ვლადიმერ ალფენიძის წერილი „საქართველოს მზიანი ღამე" (გაზ. „ცხოვრება", № 9, 1991 წ.), ძალზედ სცილდება პიროვნული კონფლიქტის ჩარჩოებს. მთავარი აქ არ გახლავთ, რომ ბ-ნი ალფენიძე კომპარტიისა და „კომუნისტური იდეების" აპოლოგეტად გვევლინება, ძირითადი მიზეზი, რამაც მაიძულა საპასუხო წერილის გამოქვეყნება, ის არის, რომ ზემოხსენებულ წერილში გამოთქმულია მეტად დამაფიქრებელი და საგანგაშო ბრალდება ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისადმი.

ერთი შეხედვით ბრალდება თითქოს მხოლოდ ბ-ნ გამსახურდიას და მის პოლიტიკურ ბლოკს ეხება, მაგრამ სინამდვილეში სპეკულანტურად არის გამოყენებული ამ ბლოკის მიმართ გარკვეული საზოგადოებრივი წრეების უკმაყოფილება და იქმნება ილუზია, თითქოს კომუნისტები საქართველოში რადიკალური ოპოზიციის უფლებების დაცვისთვის ზრუნავენ, დგებიან სამართლიანობისათვის მებრძოლის პოზაში, იზღუდებიან „იდეების გამო" და ა. შ. ხოლო ამ ფსევდო-დემოკრატიული შირმით ფრიად სერიოზულ ბრალდებებს უყენებენ მთელს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც, მიუხედავად მისი არანორმალური პოლარიზაციისა, მის ლიდერთა (და არა პარტიათა) შორის სერიოზული განხეთქილებისა, მაინც ერთ მთელს წარმოადგენს და საერთო ეროვნულ ნიადაგს ეყრდნობა. ამავე დროს ბრალდება არა მარტო თანამედროვე მოძრაობას ეხება, არამედ განზოგადებულია „ქართულ საზოგადოებრივ აზრზე" „ფარნაოზ მეფიდან დღემდე" (?!), კერძოდ, აი, რას ამბობს ბ-ნი ალფენიძე:

„...სად არის თქვენი პოლიტიკური და ფილოსოფიური დოქტრინა? გვითხარით — რა თეორია უდევს საფუძვლად თქვენს სახელმწიფოს?" შემდეგ ჩამოთვლის პლატონს, მაკიაველს, მონტესკიეს და ჯეფერსონს... „იქნებ მათი იდეები?"... „თუ მარტო კომუნისტების ქურდული ლანძღვა-გინებაა ის „იდეოლოგია", რომელზეც საქართველოს ბედნიერი მომავალი უნდა აშენდეს?! იქნებ არსებობს თქვენი „ქართული იდეა", ისევე ზედმიწევნით დამუშავებული, როგორც ვთქვათ, ბერდიაევისა და სხვა რუს ფილოსოფოსთა და რელიგიურ მოაზროვნეთა „რუსული იდეა?" გაგვაცნობიერეთ.

ჩვენ, ქართველებს, ფარნაოზ მეფიდან დღემდე, არა გვაქვს არც ფილოსოფიური, არც იურიდიული, არც პოლიტიკური ქართული ტრაქტატი დემოკრატიისა და თავისუფლებაზე. გიფიქრიათ ამის შესახებ? რატომ არ ჰქონდა ასეთი მოთხოვნილება ქართულ საზოგადოებრივ აზრს? თუ ჰქონდა, რატომ არ გაჩნდა ასეთი ნაწარმოებები საქართველოში?" და ა.შ.

ეს ვრცელი ციტატა უწინარეს ყოვლისა ბ-ნი ალფენიძის „ობიექტური აზროვნების" ნათელსაყოფად მოვიყვანეთ და ვფიქრობ იგი არ საჭიროებს კომენტარებს, მაგრამ პასუხის გაცემას მოითხოვს თუნდაც ბ-ნი ალფენიძის „გასაცნობიერებლად". საპასუხო სტატიის მიზანს არ წარმოადგენს „მრგვალი მაგიდის" ბლოკის მაგივრად ბ-ნ ალფენიძის წერილზე პასუხის გაცემა (ამ „საქმის სპეციალისტებიც" მრავლად მოიძებნებიან), არც „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური პლატფორმისაკენ ჩემი გადმობარგების საჯაროდ გამოცხადება, რადგან გარკვეულწილად მის ოპონენტად უფრო ვითვლები, მაგრამ რადგანაც „მრგვალ მაგიდას" ეროვნული მოძრაობის შემადგენელ ნაწილად ვთვლი, ხოლო კომპარტიას (რომლის წარმომადგენლადაც აცხადებს თავს ბ-ნი ალფენიძე) ეროვნული მოძრაობის მოცემულ ეტაპზე თუ მოწინააღმდეგე არა, მის გარეთ მყოფ ორგანიზაციად მაინც განვიხილავ, თავს მოვალედ ვგრძნობ, ზოგადად გამოვთქვა აზრი ბ-ნი ალფენიძის ტენდენციური და შეიძლება ითქვას, კონიუნქტურული შეხედულებების მიმართ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების შესახებ.

რა თქმა უნდა, საგაზეთო წერილში ვერც მოხერხდება და არც შევუდგები ბ-ნი ალფენიძისთვის არარსებული, მაგრამ არაკომუნისტთა მიერ საფუძვლიანად გააზრებული „ქართული იდეის" გადმოცემას და განმარტებას. შესაძლოა, ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება კიდეც, მაგრამ ერთი რამ კი ძალგვიძს: ბ-ნი ალფენიძე, თურმე ნუ იტყვით, კონსტანტინე გამსახურდიას უმოწმებდა გოეთეს ცოდნას და ასეთ შემთხვევაში, ალბათ, ჩვენც გვაქვს გარკვეული უფლება შევუმოწმოთ ცოდნა ბ-ნ ალფენიძეს, კერძოდ, თუ როგორ იცის და როგორ ესმის მას ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი. ამისათვის გერმანული „შრიფტის" ცოდნაც კი არ არის აუცილებელი. ღვთის მადლით, სწორედ რომ „ფარნაოზის დროიდან" ვარჩევთ ქართულ „შრიფტს ჩინური იეროგლიფებისაგან" და მარქსისა და ლენინის გარდა, „მცირე მიწის" და „ყამირის," ნაცვლად კომუნისტებისაგან სასტიკად აკრძალულ არჩილ ჯორჯაძის, ალექსანდრე ასათიანის, ალ. მანველიშვილის, მიხეილ წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, ვიქტორ ნოზაძის და სხვათა (შორს წაგვიყვანდა მათი ჩამოთვლა) თხზულებებსაც ვკითხულობდით, რომელთაც განავითარეს ქართული საზოგადოებრივი აზრი დიდ ილიასა და მის თანამოღვაწეთა შემდგომ.

თუ ამ მოაზროვნეთა ნაშრომებს იცნობს ბ-ნი ალფენიძე და არ სცნობს მათ ღირებულებას, არ სცნობს მათ ნააზრევს ეროვნულ იდეოლოგიად და მწყობრ კონცეფციად, გვიბრძანოს და გვეცოდინება მისი აზრი, ხოლო თუ არ გასცნობია, მოვახსენებთ, რომ კარგი იქნებოდა მისთვისაც და საქართველოსთვისაც, როცა თავის დროზე საზღვარგარეთ დაბრძანდებოდა და კომუნისტურ საზოგადოებრივი აზროვნების მარგალიტებით ამდიდრებდა მსოფლიოს, ქართულ ემიგრანტულ პოლიტიკურ ლიტერატურასაც გასცნობოდა (მაშინ ყველას არ ჰქონდა ბედნიერება გაეღწია დაწყევლილი საბჭოთა იმპერიის საზღვრებიდან) და ეს წიგნებიც, ესოდენ მნიშვნელოვანნი, ტოტალიტარიზმით დაბრმავებული თაობებისათვის იმ ტირაჟით გაევრცელებინა სამშობლოში (თუკი ასეთი რამ გააჩნია „მართლმადიდებელ" კომუნისტს), როგორითაც საკუთარ ბრძნულ აზრებს ბეჭდავდა და „ანათლებდა" ერს.

„ფარნაოზ მეფის დროიდან დღემდე" ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას, ბ-ნი ლადოს აზრით, ღირებული არაფერი შეუქმნია, მაგრამ ესეც გასაგებია, კომუნისტებისათვის ხომ წელთაღრიცხვა 1917 წლის ოქტომბრიდან თუ არა, კომუნისტური მანიფესტის გამოცხადების დღიდან მაინც იწყება და რა გასაკვირია, რომ ბ-ნი ალფენიძე არც პეტრე იბერს სცნობდეს, არც იოანე ზოსიმეს, არც იოანე პეტრიწს, არც „ქართლის ცხოვრებას", არც ვახუშტი ბაგრატიონს და არც სულხან-საბას, იყალთოს, გრემისა და გელათის აკადემიებიც ხომ კომუნისტებს არ დაუარსებიათ და ალბათ, მისთვის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაც პირველი სოცდეკური „იაჩეიკის" დაარსებით იწყება საქართველოში.

აი, კიდევ ერთი „აფორიზმი" ბ-ნ ალფენიძის სიბრძნიდან:

„ნუთუ თქვენ მართლა გგონიათ, რომ ქრისტიანობას შეუძლია ის მისცეს ერს, რაც კომუნისტებმა ვერ მისცეს?"

და ამის მერე აცხადებს: „მე არა ვარ ნიცშესავით ანტიქრისტეო". რა ვქნათ ბატონებო? რა უნდა ბატონ ლადოს? ან ნიცშეს რას ერჩის, ან მკითხველს?

გასაკვირი, რა თქმა უნდა, აქ არაფერია. არჩილ ჯორჯაძე ბრძანებდა მარქსისტულ „დიალექტიკაზე" მსჯელობისას, რომ „შეიძლება დროთა განმავლობაში რომელიმე ცხოველმა იერსახე შესამჩნევად იცვალოს, მაგრამ კატკატი ძროხად არასდროს გადაიქცევაო". არც ის მიკვირს, რომ ბ-ნი ალფენიძე „კომუნიზმს" ვერ შეელია და ქართული ეროვნული საზოგადოებრივი აზრის გამგებად და გამგრძელებლად არ მოგვევლინა, მაგრამ მიკვირს, როცა „მოწიწებით" იხსენიებს „ერის მამას დიდ ილია ჭავჭავაძეს", რად არ ახსენდება, რომ სწორედ მისი მარქსისტული პარტიის წყალობით დაობლდა მაშინ საქართველო, და ეს საზარელი მკვლელობა იქცა სოცდეკთა პოლიტიკურ გარანტიად, რომ ათი წლის შემდეგ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს ხელმწიფების სადავეები; ხოლო ჭეშმარიტ ილიელთა — ჯერ ეროვნულ ნიადაგზე მდგომ ქართველ ანარქისტთა და ფედერალისტთა, შემდეგ ეროვნულ-დემოკრატთა იგნორირებისა და მათთან კონფრონტაციის გზით ბრიყვულად და მოღალატურად მიეტოვებინათ განთავისუფლებული ქვეყანა პირსისხლიანი კომუნისტური ურდოების საჯიჯგნად.

ეროვნული იდეოლოგიის სულისჩამდგმელი სწორედ დიდი ილია გახლდათ, ხოლო ეროვნულ-დემოკრატიული კონცეფცია მისმა მიმდევრებმა შექმნეს. სწორედ მათი მეცადინეობით და არა ჟორდანიას დასის „ეროვნულობის" წყალობით მივიღეთ 26 მაისი, ხოლო რაც შეეხება 25 თებერვალს, იგი მთლიანად კომპარტიის ისტორიულ „შემოქმედებას" წარმოადგენს.

ბ-ნი ალფენიძის სტატიებში მიმოზნეული ნაირ-ნაირი ციტატებით თუ ვიმსჯელებთ, ნაკითხი ადამიანი ბრძანდება და უნდა იცოდეს თუ რა ძირითადი ცვლილება განიცადა ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა აზროვნებამ 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდგომ. თუ რა იდეას დაეფუძნა მოძრაობა „თეთრი გიორგი", ვინ არიან ამ მოძრაობის სულისჩამდგმელნი და ეროვნული ერთობის თეორიის — ინტეგრალური ნაციონალიზმის თეორეტიკოსები. რატომ იყო იგი ანტიკომუნისტური, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მათ პარლამენტარიზმთან და საერთოდ დემოკრატიულ შირმებთან, რის საფუძველზე აღმოცენდა ქართული მონარქიზმი და ასე შემდეგ.

ბ-ნი ალფენიძის აზრით, დღევანდელი ეროვნული მოძრაობა ამ თეორიულ საფუძველს არ იცნობს და „კომუნისტთა ქურდული ლანძღვაა" თანამედროვე ეროვნული იდეოლოგიის „ანი" და „ჰოე"? მწერლობასა და ფილოსოფიაზე როგორც ვიცით, სერიოზული პრეტენზიის ბრძანდება და ნუთუ გრიგოლ რობაქიძის მიერ ეროვნული მსოფლხატის ძიებით შექმნილი იდეოლოგიური ფენომენი იმის ღირსადაც არ მიაჩნია, რომ ბერდიაევი მიუწვდომელ მაგალითად არ დაგვისახოს?

იქნებ არარად მიაჩნია ინტეგრალური ნაციონალიზმიც, ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიაც, ქართული ეროვნული ფედერალიზმი, ტრადიციონალიზმი და კონსერვატიზმი? ყველა ამ ეროვნულ იდეოლოგიურ დოქტრინას გააჩნია საერთო მოქმედების ნიადაგი, და სწორედ ეს საერთო ნიადაგი არის ის „ქართული იდეა", რომლის დანახვაც როგორც ჩანს ბ-ნ ლადოს არ ძალუძს. ამ მიმდინარეობათა წარმომადგენლები განდევნილნი იყვნენ საქართველოდან დამპყრობელი კომუნისტების მიერ და გასაგებია, რომ ბ-ნი ალფენიძე — კომუნიზმის აპოლოგეტი არ სცნობს მათ, ეს მისი საქმეა, მაგრამ მეტად მავნე დეზინფორმაციის გავრცელება იმის შესახებ რომ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სფეროში ღირებული არაფერი შექმნილა, ეს უკვე ბრალდებაა მთელი ერის მიმართ.

ზემოხსენებულ კონცეფციათა ავტორები, ბუნებრივია, ანტიმარქსისტები იყვნენ (ზოგიერთმა გვიან, მაგრამ მაინც დაჰგმო კომუნისტური აბდა-უბდა), რადგან მათი იდეები დიამეტრულად ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმს, ვერ უთავსდებოდა მას, ისევე როგორც შეუძლებელია იყო ათეისტი და იყო ამავე დროს მორწმუნე. ემიგრაციაში განვითარებულ სწორედ ამ ეროვნულ იდეოლოგიას ძალუძს ქართული მსოფლხატის აღდგენა, და სწორედ მას ეყრდნობა საქართველოს თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიუხედავად ჩვენს თანამედროვეთა ზოგიერთი წინდაუხედავი და უპასუხისმგებლო განცხადებისა.

სხვა საკითხია, თუ რამდენად ღრმად ვიცნობთ დღეს ამ იდეოლოგიას, რამდენად ვიცავთ მის პრინციპებს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი შექმნილია, რომ იგი არსებობს, მოქმედებს, ვითარდება და რომ მას ვერასოდეს შეეთვისება, ვერაფრით გაამდიდრებს და ვერაფერს შემატებს ანტიეროვნული, უტოპიური და კოსმოპოლიტური „მოძღვრება" კომუნიზმის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა მოუტანა ქართველ ერს კომუნისტურმა „იდეოლოგიამ", როგორ გამოიყენეს ეს ვითომდა დემოკრატიული და ვითომდა თავისუფლების მედროშე, სინამდვილეში კი ანტიადამიანური „თეორია" დამპყრობლებმა ჩვენს წინააღმდეგ და აღარ შევუდგები ისედაც აუტანლად მტკივნეული წყლულის ზედმეტად გაშიშვლებას, დავსძენ მხოლოდ, რომ სწორედ ამ ბნელი ინკვიზიტორული „იდეოლოგიის" შედეგია თანამედროვე ქართველი საზოგადოებრიობის არცთუ მაღალი ინტელექტუალური დონე, ზნეობადარღვეული ცრურელიგიურობა, ხოლო ბატონი ლადო, შესაძლოა, არც გენერალი ბრძანდება და არც პოლკოვნიკი, მაგრამ სწორედ ის არის ამ იდეოლოგიური რეზერვაციის ერთ-ერთი შემოქმედი, ამჟამად კი კლასიკური მაგალითი ფაქტისა, რომ „ქირჩხიბი მართლად არა ვალს..." თუ შეგნებულად სჩადის ამას, მისი მოქმედება ბოროტებაა, რადგან არ სცნობს და არარსებულად აცხადებს ეროვნულ იდეოლოგიურ ღირებულებას, მოძღვრებას, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ქმნიდნენ დიდი ქართველი მოაზროვნენი, როგორც ემიგრაციაში განდევნილნი, ისე აქ, ბარბაროსთა კირთების ქვეშ მყოფნი, ხოლო თუ შეუგნებლად, არცოდნის გამო სჩადის ყოველივე ამას, მაშინ მის, როგორც პიროვნების ინტელექტს და განათლებულობას მეტად ზერელე და დილეტანტური იერი ეძლევა, რადგან მას ველარ ფარავს ეგზიუპერის, ჯოისისა თუ გოეთეს უადგილო და ხშირ-ხშირი ხსენებით შეკოწიწებული ამაო ნიღაბი. თუ ბატონი ალფენიძე საკუთარი თავის კონსტრუქციული ოპოზიციისადმი მიკუთვნებას ცდილობს, ამით მხოლოდ სახელს უტეხს მას, რადგან ამჟამინდელი საქართველოს უზენაესი საბჭოს უმრავლესობას ეროვნული მიმართულების პოლიტიკური გაერთიანებების წევრები წარმოადგენენ, მის კონსტრუქციულ ოპოზიციასაც აგრეთვე განსხვავებული ტაქტიკის მქონე ეროვნული გაერთიანებები, ხოლო ისინი ერთად შეუქმნიან კრემლს ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტს საქართველოში, რადგან კრემლი — ეს მოსკოვიტური მონღოლეთია ჩვენი დამპყრობელი და დამაქცევარი. კომპარტია კი ვერასდროს გადაიქცევა ეროვნულ პარტიად, რადგან თავად კომუნისტური იდეოლოგიაა ანტიეროვნული. ხოლო კომპარტიის ეროვნულობა სხვა არა არის რა, თუ არა მგლის ცხვრის ტყავში გამოხვევა. კომპარტია საიმპერიო ტოტალიტარული პარტიაა თავის სტრუქტურით, თავისი იდეებით და ვიდრე მისი წევრები არ აღიარებენ საკუთარი პარტიის იდეოლოგიური საფუძვლის აბსურდობას და ანტიეროვნულობის საქმით, ანუ თვითლიკვიდაციით, საქართველოს ეროვნული მოძრაობა მუდამ იდგება პოლიტიკური რევანშის საშიშროების წინაშე. 25 თებერვლის ტრაგედიის ისტორია გვიდასტურებს, რომ როდესაც საზღვარს მოგვადგება წითელი ჯარი (რუსეთის იმპერია ჯერჯერობით კომუნისტურია და შესაბამისად არც ეს საშიშროება მოიხსნება თუნდაც საოკუპაციო ჯარების გაყვანით), წითელი პარტია — იმპერიის „მეხუთე კოლონა" მუდამ მზად იქნება შემოუძღვეს ინტერვენტებს საკუთარი სამშობლოს დასარბევად. ასეთია თვისება კომუნისტურ ნიღაბაფარებულ ავანტიურისტთა, ხოლო ახლანდელ პირობებში კომპარტია მუდამ დარჩება ანტიქართული პოლიტიკური გადატრიალებისა და სამხედრო დიქტატურის მძლავრ ბაზად.

დღევანდელი უზენაესი საბჭო „მრგვალი მაგიდის" წყალობით გადაიქცა კრემლისათვის ოპოზიციურ ბარიერად, დიახ, იგი მხოლოდ ბარიერია და არა ქართველი ერის ხელმწიფების ორგანო, დაპყრობილიც ვართ და დაბორკილნიც, მაგრამ რადგანაც ვიბრძვით, ვიდრე ბრძოლისუნარიანობა გაგვაჩნია, მაინც თავისუფლები ვართ და ომიც გრძელდება, გამოუცხადებელი განმათავისუფლებელი ომი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ზნეობის დამცველის როლს დღეს ისინიც კი ერიდებიან, ვინც ამისათვის თავის დროზე იტანჯებოდნენ, ხოლო ბატონმა ალფენიძემ, რაღა ახლა გამოიდო თავი და ჯიუტად თამაშობს სასოწარკვეთილი, „რეაქციონერებისგან" დარბეული და აწიოკებული კომუნისტის როლს. უწინ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, რატომღაც არ ახსენდებოდა, რომ ტოტალიტარიზმი ცუდია და პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა დანაშაულია, რატომ, კომუნისტურ სამო-

## 31 მარტის რეფერენდუმისთვის

**ვალენტინა ფარახტატოვა, თბილისის № 3 სახლმშენებელი კომბინატის მუშა:**

ჩემი მშობლები (მამა-პაპანი) და მეც წალკის რაიონში დავიბადეთ, ათი წელია ამ წარმოებაში ვმუშაობ და არასოდეს მიგრძვნია ქართველთაგან რაიმე დამცირების მაგვარი, ჩვენ ყოველ ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებთ. ქართველთა და ბერძენთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა მავალებს, ვიყო საქართველოს ერთგული მოქალაქე. მყავს ორი შვილი. მე ყველა ბერძენს მოვუწოდებ, 31 მარტს ხმა მისცენ დამოუკიდებელ საქართველოს, რამეთუ დამოუკიდებელ საქართველოში ჩვენ ყოველთვის უკეთ ვიცხოვრებთ. დღევანდელი ქართველის სატკივარი, საქართველოში ყველა მაცხოვრებლის სატკივარი უნდა იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხეს ვერ ელოდა? თუ ვიდრე საკუთარ ტყავზე არ გამოსცადა რა „ბედნიერებაცაა“ შევიწროვება და პირზე ხელის დაფარება, ვერ ხვდებოდა? განსხვავება კი დიდია. მაშინდელი დევნილნი ერის გულისთვის იტანჯებოდნენ, ხოლო ბ-ნი ლადო რისთვის გარჯილა? იქნებ კომუნიზმის გადასარჩენად?

კომუნიზმის ერთგულებამ შესაძლოა გარკვეული დროით პურის ფული აშოვნინოს, მაგრამ ამგვარი მოქმედება არ გაათავისუფლებს წარსულის მძიმე მემკვიდრეობისაგან, მძიმე შეცდომებისაგან და სწორედ წარსული არ აძლევს მას უფლებას გულდამწვარი მამულიშვილის ნიღბით გამოვიდეს ერის წინაშე, მით უმეტეს კომუნისტური რეჟიმისა და იდეოლოგიის აპოლოგეტად და ურცხვად, დემაგოგიურად ამტკიცოს, თითქოს სტიქიური იყოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, უიდეო, პოლიტიკური ფილოსოფიის გარეშე განვითარებული და თეორიული საფუძვლების არმქონე.

ხოლო არცოდნა ბ-ნი ალფენიძის ასაკში უკვე აღარ არის არცოდნა. ის ამჟამად ხელმოცარული პოლიტიკოსი ბრძანდება და გასაგებია საკუთარ განწყობილებას რატომღაც განაზოგადებს, გაზეთის ეპიგრაფიც კი „Ovo vadis“ „უფრო მის პიროვნულ ტრაგედიას ასახავს, რომელიც სავსებით შეგვიძლია ასეც ვთარგმნოთ „აწი რაღა ეშველებათ ბ-ნ ლადოს და პლუტოკრატიულ კომპარტიას?“. დღემდე ისიც უნდა გაეცნობიერებინა ბ-ნ ალფენიძეს, რომ ე. წ. საქართველოს კომპარტიის ტრაგედია ვერასოდეს იქცევა საქართველოს ეროვნულ ტრაგედიად, რადგან იგი ახლა იმკის იმას, რაც ამ სამოცდაათი წლის მანძილზე უთესია.

დასასრულ კი უეჭველად უნდა ითქვას, რომ დღევანდელი საქართველოს უმთავრეს და უპირველეს ამოცანას ერისა და ქვეყნის განთავისუფლება წარმოადგენს და არა პარტიული, პროკომუნისტური თუ სხვა მისი მსგავსი „მსოფლიო იდეების“ გადარჩენა. დემოკრატიულობაც მეტად აბსტრაქტული ცნებაა, ერი თვითონ უნდა ქმნიდეს მას, ერს თვითონ უნდა უჩნდებოდეს მოთხოვნილება მის მიმართ, რადგან თავსმოხვეული დემოკრატიაც „თავსმოხვეული“ იქნება და ამდენად მიუღებელი.

დემოკრატია უცხო რამ არის ჩვენი თაობისათვის, ჩვენი თანამედროვე ერისთვის, მაგრამ რამდენად აუცილებელია, თვითმიზნად ვაქციოთ კლასიკური ევროპული დემოკრატიის დანგრევა იქ, სადაც ის არ აღმოცენებულა და არც არასდროს არსებულა, ან რა დემოკრატიულ წყობილებაზე შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე მსოფლიოს არც დამპყრობელ და არც დაპყრობილ ერთა შორის არსად ვჩანვართ და ჯერ იმის დამტკიცებას ვუნდებით, რომ არსებობის უფლება ჩვენცა გვაქვს როგორც ერს თავისი სახელმწიფოებრიობით.

ჩვენ დაპყრობილი და ნაწილობრივ ასიმილირებული ერი ვართ, დარღვეული მსოფლხატით, დაკარგული ეროვნული ზნეობით და გათანგული საუკუნოვანი უუფლებობით, მეორეხარისხოვნების კომპლექსით. დემოკრატია არ არის და ვერას დროს იქცევა იმ ღირებულებად, რომელიც სამშობლოს თავისუფლებაზე მაღლა დგას და როგორი სასტიკიც არ უნდა იყოს ეროვნული დიქტატურა (თუკი ასეთი რამ ოდესმე მაინც მოხდება საქართველოში, თუმცა კი სასურველია არასოდეს მოხდეს), რუსული ჩექმის ტირანია არასდროს მოენატრება ნორმალურ ერისკაცს, თუ იგი ერის მოღალატე არ არის. აქ, იმპერიის სატუსაღოში, ქართველი ერი პატიმარია, ხოლო პატიმარს, უწინარეს ყოვლისა, საპატიმროდან თავის დაღწევა სწადია, ხოლო დემოკრატია ყოველთვის არ წარმოადგენს ყოველგვარ ეროვნულ სნეულებათა მკურნალს. აი, მაგალითად, რას წერს დემოკრატიის, როგორც ასეთის შესახებ, ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მწერალი შარლ ბენუა თავისი წიგნის „დემოკრატიის ავადმყოფობანის“ წინასიტყვაობაში: „დემოკრატია თავისი სიმძიმით მეტისმეტად ძირს მიგვაქანებს. უარვყოთ, სანამ ფსკერამდე დაგვიყვანს. მე ის მიყვარდა ჩემს ახალგაზრდობაში, ვემსახურებოდი სიმწიფის ხანაში. მაგრამ მთელს ჩემს ცხოვრებაში მე მას მერჩია საფრანგეთი“.

ადრე, როდესაც ვმსჯელობდით საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, საზოგადოებრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამგვარი რამ ვერ მიიღწევა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ახლა კი დროა, მივიდეთ იმ დასკვნამდეც, რომ ვერც დემოკრატიული წყობილება დამყარდება საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის გარეშე. რომ მიზეზი ქართველი ერის დაბალი პოლიტიკური კულტურისა, უწინარეს ყოვლისა ეროვნულ უუფლებობაში, საკუთარ ქვეყანაში ერის ხელწიფების არარსებობაში უნდა ვეძებოთ. ვერ იქნება საქართველო დემოკრატიული, ვიდრე იგი დამონებული ჰყავს ტოტალიტარულ რუსეთს, ვიდრე იგი კოლონიას წარმოადგენს უნდა გავიცნობიეროთ, რომ არ არსებობს რაღაც აბსტრაქტული ზეეროვნული „ცენტრი“, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ იბრძვის მტკიცედ დარაზმული, შეიარაღებული და შოვინიზმით სულით ხორცამდე მოწამლული ერთიანი რუსეთი, რომ შეუძლებელია ვენდოთ შოვინისტის დემოკრატიულ ნიღაბს, იქნება ეს გორბაჩოვი თუ სხვა მისთანანი, რომ არ არის დრო და ჟამი ეროვნული მოძრაობის პოლარიზაციისა. არასოდეს გავამართლებ რეპრესიებს მოძრაობის ერთი ნაწილისას მეორეს მიმართ, მაგრამ ვერც მეორე ნაწილის პოლიტიკურ საბოტაჟს მოვუძებნი გამართლებას პირველის მიმართ.

ეროვნულ მოძრაობაში დღეს ყოველგვარი განხეთქილება უნდა განიხილებოდეს ეროვნული ინტერესების ღალატად. ხომ ცნობილია, რომ რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ვერავინ შესძლებს წყლიდან მშრალად ამოსვლას, ტალახი, რომელსაც დღემუდამ ვესვრით ერთმანეთს, ყველას დაგვსვრის და ვერაფრით გავიმართლებთ თავს მომავალი თაობების წინაშე.

ნურც უმრავლესობას ექნება იმის იმედი, რომ შესძლებს ეროვნული მოძრაობის იმ ნაწილის სრულ იზოლაციას, რომელიც მას არ სცნობს ეროვნული მოძრაობის ფლაგმანად. ეს მიგვიყვანს ურთიერთბრძოლამდე, საზარელ რეპრესიებამდე, ხოლო ამგვარი მოქმედება თვითმკვლელობას უდრის, მეორეს მხრივ კი ოპოზიციამ უნდა შესძლოს დათმობაზე წასვლა და თანამშრომლობის ნაკლებ ამბიციური, მაგრამ სერიოზული და კონსტრუქციული გზების მოძებნა. წინააღმდეგ შემთხვევაში ავანტიურისტთა და პროვოკატორთა ყოვლისწამლეკი ტალღა დაასამარებს თანამედროვე ეროვნულ მოძრაობას.

უკვე არის ყველა ნიშანი იმისა, რომ მოძრაობის ერთი ნაწილი მტრად გადაეკიდება მეორეს. ჩვენ ხომ ქართველები ვართ, ბრმები და ყრუები, როცა საქმე ჩვენს პატივმოყვარეობას ეხება, ვეღარც მტერს ვარჩევთ და ვეღარც მოყვარეს, თვით ეშმაკსაც მივყიდით სულს, ოღონდ გადამტერებული მოყვარე გადავთელოთ და მამული, მამული თუნდაც ისევ ჩლიქით გაითელოს, აღარავინ დაგვიდევს.

დღეს პარტიებად და პოლიტიკურ ბლოკებად დაიპო ეროვნული მოძრაობა, და იმის მაგივრად, რომ ფუნქციები იქნას დანაწილებული, ყველამ თავისი საქმე აიღოს და აკეთოს საქართველოს გასათავისუფლებლად, პოლიტიკური შინაომია გაჩაღებული და პირველობისათვის ბრძოლა. ბრძოლის მეთოდები უკიდურესობამდე უზნეო და უღირსი გახდა, რაღაც მიუწვდომელ ოცნებათა სფეროში გადაინაცვლა ერთიანმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეამ დევიზით „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, მაგრამ თუ ერის ერთი ნაწილი, თუნდაც ყველაზე ბრძოლისუნარიანი და განათლებული სცდება, ერი ერია, ერი მთლიანობაში ყოველ მის ნაწილზე მაღლა დგას, იგი მარადიულია და მას მაინც არ გასწირავს ღმერთი, მიუხედავად ძეთა მისთა ამპარტავნებისა და სულმოკლეობისა.

**მალხაზ დათუკიშვილი**

[illegible]

## წერილები რედაქციას

# „სევდა“, რომელიც სახელის შებღალვას ცდილობდა

**ბატონო რედაქტორო!**

თქვენი გაზეთის გასული წლის 21 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა ბატონ გიორგი ჯავახიშვილის მეტად სენსაციურ-სენტიმენტალური წერილი „ალბომში ჩარჩენილი სევდა“... მინდა ამასთან დაკავშირებით მოგახსენოთ ჩემი აზრი, რომელიც გამომდინარეობს ვანო მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის ორ ათეულზე მეტწლიანი დასკვნებიდან.

სენსაცია, წერილის გმირის, შალვა ქართველიშვილის პიროვნების წარმოჩენის ფაქტს არ ეხება და ამაზე ცალკე მოვახსენებ მკითხველს; მანამდე კი მინდა გაგახსენოთ, რომ წერილში მოთხრობილია ერთ-ერთი ქართველი მოღვაწის, პროფესიით იურისტის, შ. ქართველიშვილის ცხოვრებაზე, რომელიც პროფესიულ-მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად წერდა ლექსებს, აქვეყნებდა ნახატებს, კარიკატურებს; ჩვენი სასიქადულო ფერმწერის, ქალბატონ ელენე ახვლედიანის ხატვის პირველი მასწავლებელიც კი ყოფილა თურმე. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი მართლაც ისეთივე უცნობი ქართველი მოღვაწე იყო დღემდე ჩვენი საზოგადოების უმეტესობისთვის, როგორც სხვა დანარჩენი მისი მსგავსი „არავარსკვლავები“ (მათ შორის ჩვენ ნამდვილი ვარსკვლავებიც ბევრი გვყავდა), რომელთაც მისი ხვედრი გაიზიარეს და ქართული ინტელიგენციის მაშინდელ პლეადასთან ერთად 1930-1940 წლების რეპრესიებს შეეწირნენ.

გასაოცარი სითამამით დაწერილი წერილის „მეხის გავარდნად“ ერთი დღემდე უცნობი ამბავი მივიჩნიე: თურმე დიდ ვანო მაჩაბელს, ცოლის შერთვის წინ „ჩადენილი“ ცოდვის ნაყოფად, უკანონო შვილი მოვლენია თელავის „ლიტერატურულ-თეატრალური ცხოვრების“ ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელთან, ლიზა ქართველიშვილთან, რომელიც ვანოს ვაჟზე, ნიკუშაზე, წლინახევრით ყოფილა უფროსი (რაც არც ერთ მის თანამედროვეს არ შეუნიშნავს არასდროს, თვით ეკატერინე გაბაშვილსაც კი, რომელიც გასაგები მიზეზების გამო, თავს ვერ იკავებს და თავის მოგონებებში ლაზათიანად კენწლავს დიდ მოღვაწეს, ამასთან, არც მის ძმას, იურისტსა და საზოგადო მოღვაწეს ვასოს, დას დარიკოს და დედას ნატალიას ინდობს — ჯ. მ.)....თავად ვანო კი ისეთ გულქვა ადამიანად გვევლინება, რაც სულაც არ ესადაგება მის ბუნებას, რომ დარჩენილი რვა წლის სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც არ გახსენებია კახეთში „გუგულის ბარტყად“ დატოვებული პირმშო — არც სანახავად წასულა, არც მატერიალურად დახმარებაზე უფიქრია, თავის გულის მესაიდუმლე ძმისთვის — ვასოსთვისაც კი არ გაუზიარებია „საიდუმლო ხვაშიადი!“..

ცნობილი ფაქტია, რომ ვანო მაჩაბელი ყრმობიდან მეტად ფაქიზი გრძნობის და ფიცხი ბუნების, მეტად უპატიოსნესი პიროვნება გახლდათ, ასეთივე დარჩა იგი თავის ინტიმურ ცხოვრებაშიც! მას შეეძლო გატაცებულიყო ამა თუ იმ მანდილოსნით, მაგრამ პრაქტიკულად, ანუ, მამაკაცურად, არცერთთან არ შეუტოპია ეთიკით მიღებულზე გადამეტებულად — მისი გრძნობა ყოველთვის პლატონური იყო! გავიხსენოთ სტუდენტობის შემდგომი პერიოდის გატაცებები ანასტასია თუმანიშვილთან, მაკო საფაროვასთან და ბოლოს ცეცხლიანი სიყვარული ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილთან! სამივე შემთხვევაში მისი გრძნობები ხასიათდებოდა სინაზითა და სენტიმენტალობით, ამასთან, არც ერთ შემთხვევაში იგი არ გადაზრდილა მძვინვარე ეროტიზმში! მისი ცხოვრება თავიდან ბოლომდე მისაბაძი იყო ჩვენი მაშინდელი მეტად ანგარიშგასაწევი ინტელიგენციისთვის, თუმცა მას მტრებიც საკმაოდ ჰყავდა და შეუძლებელია ახალგაზრდა ქალის გაუბედურება — მისი მოტყუება და ნაბუშრით მიტოვება, შეუმჩნეველი დარჩენილიყო მათთვის, არ ეციცინათ უფრო მეტად, ვიდრე რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეგროვილი ორასი თუმნისა და მარი ბროსეს პრემიისთვის ნაღოლიავები ექვსასი მანეთის „შეჭმის“ ბრალდების დროს მოექცნენ, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ვერ დაადასტურეს და იძულებული გახდნენ დადუმებულიყვნენ პირში ჩალაგამოვლებულნი. ეს ორივე ბრალდება სწორედ 1890 წლის შემდეგ წაუყენეს, როცა შალვა ქართველიშვილი უკვე დაბადებული იყო და რაკილა ბრალდებები არ დაუდასტურდათ, „პირის შესაწმენდად“ ნაბუშრის ყოლის შეხსენებაზე უკეთესს რაღას მოიგონებდნენ! მაგრამ, ვიმეორებთ, მსგავსი არაფერი მომხდარა გასაგები მიზეზების გამო!

ახლა თვით ბატონ გ. ჯავახიშვილის წერილის შესახებ...

„1890 წლის ზაფხულის ერთ მზით სავსე დღეს თელავში... დაიბადა ყრმა, რომელიც ქვეყანას მოევლინა დედისეული გვარით, ხოლო მამის სახელის ნაცვლად დაემკვიდრა პაპის სახელი... ამ ამბის სათავეში იდგა ვანო მაჩაბელი, ჩვენი სახელოვანი ქართველი მოღვაწე... ამან ახალგაზრდა თელაველ მანდილოსანს ლიზა ქართველიშვილს გადაუშალა გული, ფრიად ხშირად ჩამოდიოდა ამ პატარა კოლორიტულ ქალაქში და ქართველიშვილების ოჯახს სტუმრობდა. ვანოს და ლიზას სიყვარულის ნაყოფია შალვა“.

აი, ასე, მხატვრულად, პოეტური თხრობით გვატყობინებს დღემდე გაუგონარ ამბავს წერილის ავტორი და არც კი ცდილობს, რომ იგი დასაჯერებელი გახადოს შემოწმებული ფაქტების მოყვანით!.: როგორც ავტორს, ისე თვით რედაქციას, კარგად მოეხსენება, რომ ისეთი დიდი მოღვაწის საყოველთაოდ ცნობილ ცხოვრებაში — ასეთი დიდი კორექტივის შეტანა სამტკიცებელი წყაროს დაუსახელებლად, არავის ეპატიება!

მახსენდება ერთი შემთხვევა: ვანოს დაღუპვის მიზეზის დასაზუსტებლად ბატონ იპოლიტე ვართაგავას ვეახელ მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში. მიუხედავად მისი მხცოვანებისა, შესანიშნავი მეხსიერება და მსჯელობის უნარი ჰქონდა შერჩენილი სიცოცხლის ბოლომდე. როდესაც ჩემი ეჭვები და ზოგიერთ ფაქტზე დაყრდნობილი ანალიზი გავაცანი, მან ხელი ჩაიქნია და დიდსულოვნად მითხრა:

— მოეშვი, შვილო, დამნაშავის ძებნას! მასეც რომ იყოს, სულმნათ ვანოს მაინც ვერ გააცოცხლებ, სამაგიეროდ შეიძლება მეორე მოღვაწის სახელი შებღალო, რაც ჩვენს ერს სულაც არ სჭირდებაო!

საუბარს ესწრებოდნენ მისი შვილიშვილები, ჩემი მეგობრები, მხატვრები და ჟურნალისტები, ტარიელ და ავთანდილ ვართაგავები.

სწორი იყო ბატონი იპოლიტე და მისი შთაგონებით გამსჭვალული სიტყვების შემდეგ მართლაც აღარ მიფიქრია არავისთვის საჭირო საკითხზე ძიების საერთოდ გაგრძელებაზე.

ბატონ გ. ჯავახიშვილს კი, როგორც ჩანს, თავისი წერილის სენტიმენტალური ხიბლით გამდიდრებისა და ვანო მაჩაბლის უკვე შინავლული ბობოქარი ცხოვრების სამრეკლოზე კიდევ ერთი უცნაური ზარის შემოკვრისთვის თუ დასჭირდა დიდი მოღვაწის გახსენება და ვილაცის მიერ სიტყვიერად ნათქვამი და არა დოკუმენტებით დადასტურებული „ამბავის“ საქვეყნოდ გამომზეურება... წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია მის მიერ შ. ქართველიშვილის ცხოვრების მაჩაბელთან დაკავშირების მიზნის ახსნა, როცა ეს „მიზანი“ სასიკეთო საქმეს არ ემსახურება!

შემდეგი აბზაცი:

„1909 წლიდან შალვა მოსკოვში მიემგზავრება. იგი შედის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ამ სპეციალობაზე შალვას სწავლა გადააწყვეტინა ორმა ამბავმა: პირველად, როცა 8 წლის ყმაწვილმა გაიგო (ვისგან, ან რა მიზნით ნათქვამი? იქნებ იმის წარმოსაჩენად, რომ მართალია ბუმბერაზი მოღვაწის, მაგრამ მაინც ნაბიჭვარი იყო, რაც [illegible] ეთ სამაყო ცნობად უნდა ჩვენებოდა! — ჯ. მ.), რომ მამამისი — ივანე მაჩაბელი მოულოდნელად გაქრა (?)... თურმე ნუ იტყვით და 8 წლის ბავშვი უკვე იმდენად გათვითცნობიერებული ყოფილა, რომ მაშინვე გადაუწყვეტია იურისტად გახდომა, რათა მომავალში გაერკვია — რა იყო ნამდვილი მიზეზი „მამის“ (რომელიც მას არც კი ენახა არასდროს) ასეთი იდუმალი „გაქრობისა!“ მაგრამ მალე დავრწმუნდებით, რომ ეს გადაწყვეტილება ავტორს წერილის მომავალი ეფექტური განვითარებისა და ლოგიკური ფინალისთვის უფრო სჭირდებოდა, რათა წერილს მხატვრული ნაწარმოების (ნარკვევის) სიუჟეტური ქარგა შეენარჩუნებინა: დაიბადა მაჩაბლის მეშვეობით, ოცნებობდა მამის გაუჩინარების მიზეზის ძიებაზე და მიაღწია კიდეც იმას, რაც სხვას აქამდე არ მიუღწევია — გამოიძია ყველაფერი, მაგრამ ვაგლახ, რომ სტალინის რეპრესიებმა შეუშალა ხელი ჩვენამდე მოეტანა იგი. მაგრამ, მოდი, წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს! დასტურად მოგვყავს კიდევ ერთი პოეტური გადახვევა: შალვა ქართველიშვილი თურმე იმიტომ ყოფილა შემოქმედებითი სულის მატარებელი, რომ „სადაც არ უნდა ყოფილიყო, არ ასვენებდა მამისეული გენი. მისი სული ყოველთვის **დამუხტული იყო შემოქმედებითი ზეიმისათვის**“ (ხაზი ჩვენია. — ჯ. მ.).

როგორც წერილის ტექსტიდან ვრწმუნდებით, არაერთი სტრიქონი მიუძღვნია შალვა ქართველიშვილისთვის პაოლო იაშვილს, დიდ გალაკტიონს, იოსებ გრიშაშვილს, მაგრამ არც ერთ მათგანში და არც ერთ მათ წიგნში გადაკვრითაც არ არის მოხსენიებული მასთან ვანო მაჩაბლის ნათესაური კავშირის შესახებ და მით უმეტეს, შ. ქართველიშვილის მაჩაბლისეულ წარმომავლობაზე! არც ბატონი ვახტანგ ჭელიძე ახსენებს ქართველიშვილების ოჯახს თავის ბიოგრაფიულ რომანში და „ყველა ყველა როა“, ბატონ ვახტანგს მაინც არ გამორჩებოდა ასეთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ვანოს ცხოვრებიდან, იგი სინამდვილეში რომ არსებულიყო!

და აი, ის ფინალური „სიურპრიზიც“, რომელმაც „განამტკიცა“ 8 წლის შ. ქართველიშვილის სურვილი — გამოსულიყო იურისტი და მოეძია „მამამისის“ გაუჩინარების საიდუმლო:

„შალვამ ასეთივე ძვირფასი მასალები მოიპოვა ილია ჭავჭავაძის და ცნობილი მოღვაწის ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობაზე, მამამისის ივანე მაჩაბლის უგზოუკვლოდ დაკარგვაზე. როგორც გადმოსცემენ (ის მაინც ებრძანებინა პატივცემულ ავტორს, კერძოდ, ვინ გადმოსცემს? — ჯ. მ.), მოკვლეული მასალებიდან ჩანდა, რომ ამ ორ (ილიასა და ნიკო ხიზანიშვილის მკვლელობის ამბავი) ტრაგიკულ ამბავს ერთი სათავე ჰქონდა. სამწუხაროდ ეს მასალები ავბედით 1937 წელს გაქრა“.

აი, ყველაფერი ის, რაც შალვა ქართველიშვილის ვანო მაჩაბლისეულ წარმოშობას ადასტურებს! სწორედ ამიტომ გვინდა კიდევ ერთხელ ვუსაყვედუროთ „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქციას, რომ ოფიციალური დოკუმენტური წყაროების მითითების გარეშე ასეთი საჩოთირო წერილის გამოქვეყნება არ უნდა დაეშვა, რამეთუ ის „სევდა“, რომელიც ნარკვევის გმირის მძიმე ცხოვრების გაცნობის შემდეგ გვებადება (თვით ფაქტი მაჩაბლის „მამობისა“, ვიმეორებთ, შ. ქართველიშვილის ისედაც მდიდრულ ბიოგრაფიას, არაფერს განსაკუთრებულს არ მატებს), ერთი ცნობილი პიროვნების თქმისა არ იყოს, „ღმერთისხელა“ ქართველი მოღვაწის, ვანო მაჩაბლის სპეტაკი სახელის შებღალვის ტოლფასია!

**ჯემალ მჭედლიშვილი,**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფასები და ხელფასები

## რა რამდენი ეღირება?

სხვა გაზეთებიდან

**როგორ გაიზრდება პირველი მოთხოვნილების საგნების ფასები? — მრავალრიცხოვან მოქალაქეთა ამ შეკითხვას სსრკ ფასების სახელმწიფო კომიტეტი შემდეგი მონაცემებით (ჩამონათვალი არასრულია) პასუხობს.**

| | ძველი ფასები მანეთებსა და კაპიკებში (II სარტყელი) | 1 აპრილიდან ახალი ფასები მანეთებსა და კაპიკებში |
|---|---|---|
| I კატეგორიის საქონლის ხორცი | 2—00 | 7—00 |
| I კატეგორიის ცხვრის ხორცი | 1—90 | 6—00 |
| II კატეგორიის ღორის ხორცი | 1—90 | 5—30 |
| გამოშიგნული ქათმის ხორცი | 3—40 | 5—60 |
| მოუხდელი რძე | 0—28 | 0—50 |
| უმაღლესი ხარისხის კარაქი (გლეხური) | 3—50 | 8—80 |
| მკვრივი ყველი | 3—20 | 6—40 |
| ცხიმიანი ხაჭო | 1—00 | 2—00 |
| დიეტური კვერცხი | 1—30 | 2—60 |
| გაყინული გამოშიგნული თევზი. (ქორჯილა) | 1—01 | 2—40 |
| უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი | 0—46 | 1—40 |
| წიწიბურას ბურღული | 0—56 | 1—68 |
| ბრინჯი | 0—88 | 2—20 |
| ფეტვის ბურღული | 0—30 | 1—00 |
| შაქრის ფხვნილი | 0—85 | 2—00 |
| მზესუმზირას ზეთი | 1—70 | 3—40 |
| სუფრის მარგარინი | 1—50 | 3—00 |
| შავი ბაიხის ჩაი | 9—60 | 18—00 |
| შვრიის პური (1 კგ.) | 0—12 | 0—48 |
| დედაქალაქური პური (850 გრ.) | 0—24 | 0—61 |
| პურის ბატონი (ჭდეული, 400 გრ.) | 0—33 | 1—00 |
| **არასასურსათო საქონელი** | | |
| **(1 მეტრის, ცალის, წყვილის ფასი)** | | |
| დაჩითული ჩითი | 1—12 | 3—00 |
| დაჩითული პოპლინი | 2—00 | 4—20 |
| საკოსტუმე ქსოვილი „რაფა“ | 12—80 | 30—00 |
| სასკოლო ფორმის ქსოვილი | 8—00 | 33—00 |
| შალის უჯრედებიანი საბანი (ზომა 140X205 სმ.) | 17—00 | 54—00 |
| მამაკაცის მაისური | 1—34 | 4—70 |
| ქალის ბამბის წინდები | 0—70 | 3—00 |
| მამაკაცის შალის ჯემპერი | 34—00 | 78—00 |
| მამაკაცის შალნარევი ქსოვილი კოსტუმი | 107—00 | 245—00 |
| მამაკაცის გრძელსახელოიანი პერანგი | 8—60 | 16—50 |
| ქალის ბამბის ქსოვილის კაბა | 11—30 | 26—00 |
| ქალის ფეხსაცმელი | 18—00 | 24—50 |
| ბავშვის შალის ჯემპრი (36 ზომა) | 12—50 | 59—00 |
| ბავშვის ბამბის კოლგოტი | 1—60 | 4—50 |
| 38 ზომის შალის კაბა (სასკოლო ფორმა) | 12—00 | 62—00 |
| ბიჭის ფეხსაცმელი და დახურული ფეხსაცმელი | 8—50 | 21—50 |
| დამუშავებული გაკრეჭილი ცხვრის ტყავის პალტო ზომა 28(3) | 46—00 | 175—00 |
| საკერავი მანქანა | 67—00 | 125—00 |
| სასკოლო რვეული | 0—02 | 0—10 |
| ბავშვის თხილამურები | 4—20 | 15—50 |
| დივანი | 188—00 | 346—00 |
| სარეცხი ფხვნილი „ლოტოსი“ (1 კგ.) | 1—00 | 1—60 |
| მაცივარი „სარატოვი“ KM-120 | 250—00 | 430—00 |
| სარეცხი მანქანა CMP — 1,5 | 80—00 | 165—00 |
| ფერადი ტელევიზორი „რუბინი“ Ц281Д | 755—00 | 1218—00 |
| შავ-თეთრი ტელევიზორი „რეკორდი“ | 240—00 | 440—00 |
| რადიომიმღები „ოკეანე“ | 135—00 | 207—00 |
| **რესპუბლიკური ნომენკლატურა** | | |
| ძეხვი (მოყვარული) | 2—90 | 9—00 |
| სოსისი (რძიანი) | 2—60 | 8—00 |
| სარდელი | 1—40 | 6—00 |
| პელმენი (500-გრამიანი კოლოფი) | 0—70 | 2—25 |
| შინაური კატლეტი (10 ცალი) | 0—60 | 2—10 |

## ფასზე უკან არ დავიხევთ

**ფასების მომავალი რეფორმის გარშემო წამოჭრილ შეკითხვებს უპასუხებენ სსრკ ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ შრომის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ ფინანსთა სამინისტროს, სსრკ სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელები.**

**— როგორი ფასები დადგინდება?**

— იქნება ფასების სამი დონე: სახელმწიფო ფიქსირებული ფასები (რომელზე ძვირადაც სახელმწიფო ვაჭრობაში, სახელმწიფო რესურსებიდან მიღებული საქონლის გაყიდვის უფლება არავის ექნება).

შემდეგ მოდის **რეგულირებადი** (საქონლის 15%) და **თავისუფალი** (საქონელი 90%) ფასები. ამ ფასებით, პირველადი მოხმარების საქონლის გამოკლებით, თანმიმდევრულად გაივლის სხვა საქონელიც.

**— როგორი იქნება ამ რეფორმისაგან მიღებული საბიუჯეტო დეფიციტის კონკრეტული მოგება?**

— ფასების რეფორმა არავითარ ფისკალურ მიზნებს არ ითვალისწინებს. ამ რეფორმის დროს გამოთავისუფლებული სახსრები მოსახლეობის სოციალურ დაცვას მოხმარდება. ბიუჯეტის დეფიციტის საერთო დაბალიათება არ შეიცვლება. მაგრამ უნდა მოხდეს გადანაწილება ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის, რადგან სოციალური დაცვის ზომები და რეფორმისაგან მიღებული შემოსავალი ცალკეული რესპუბლიკების მიხედვით მთლად სინქრონულად არ „ლაგდება“.

**— როგორია კომპენსაციის საერთო ხარჯები და როგორ გადანაწილდება პასუხისმგებლობა კავშირისა და რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის?**

— კომპენსაციის საერთო თანხა დაახლოებით 300 მილიარდ მანეთს შეადგენს, მათ შორის 75 მილიარდი მანეთის დატვირთვა საკავშირო ბიუჯეტზე მოდის, დანარჩენი—რესპუბლიკურებზე. რეფორმისგან მიღებული დამატებითი შემოსავალი პრაქტიკულად მთლიანად გადადის რესპუბლიკურ ბიუჯეტებში. საკავშირო ბიუჯეტი კი გაყიდვისაგან მიღებული გადასახადის მეშვეობით 8-9 მილიარდი მანეთით გაიზრდება. რესპუბლიკური ბიუჯეტები ფასების რეფორმისაგან 66 მილიარდ მანეთს მოიგებენ.

**— რა გზით გახდება თავისუფალი საქონლის 30%, ხომ არ გაუქმდება ნებისმიერი მაკონტროლებელი ზომა?**

— კონტროლს სავაჭრო დანამატი დაექვემდებარება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჭრობა მონოპოლიზებულია, ეს დანამატი გასაყიდი ფასის 20 %-ს შეადგენს. მაკონტროლებელ ორგანოებს ექნებათ ფასების გაუქმების უფლება, თუ ისინი გონიერების ყველა ზღვარს გასცილდება.

**— მთელი რიგი საქონლის ფასი 300%-ით გაიზრდება, მოსახლეობაზე გაცემული კომპენსაცია კი ხელფასის 20-30 %-ს შეადგენს. რამდენად დაეცემა საბჭოთა ადამიანის ცხოვრების საშუალო დონე?**

— ხელფასის ეს გაზრდა როგორც მინიმუმი ისე განიხილება. ითვლება, რომ ყველა წარმოებადაწესებულება, გარკვეული მოტივით, მუშაობის გაუმჯობესებას და მეტი ფულის გამომუშავებას შეეცდება, რათა საქონლის შესყიდვა შეძლოს, ჩვენ ხელფასის ყველანაირ შეზღუდვას ვხსნით. დაე, თითოეულმა იმდენი გამოიმუშაოს, რამდენსაც შეძლებს. თუ ბავშვზე კომპენსაციის სახით 40 მანეთი გაიცემა, უფროსზე კი — 60 გასაგებია, თუ ვის სასარგებლოდ ხდება კომპენსაცია. ჩვენ ვაძლიერებთ იმათ სოციალურ დაცვას, ვისაც თავად არ შეუძლია საკუთარი თავის რჩენა.

**— როგორ იმოქმედებს ფასების რეფორმა მაღაზიებში საქონლის რაოდენობაზე?**

— ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობა შესაბამისად 520 მილიარდ და 225 მილიარდ მანეთადაა შეფასებული. რომ არა რეფორმა, ეს იქნებოდა აუცილებელი დოტაციები (კერძოდ წლევანდელი წლისათვის). ჩვენთან ფასების გაუკულმართებული სისტემა, მწარმოებელი, რაც მეტ საქონელს აწარმოებს, მით უფრო ღარიბი ხდება. დღეს საქონლის 80 % წარმოებისათვის წამგებიანია. ფასების რეფორმამ უნდა მოხსნას ეს მძლავრი მამუხრუჭებელი ფაქტორი.

მოთხოვნა საქონელზე დაახლოებით 80-100 მილიარდი მანეთით, სწორედ ფასების გაზრდის გამო, შემცირდება. გარდა ამისა, მოსახლეობას აჟიოტაჟური შენაძენების გამო უკვე აქვს საქონლის დიდი (არანაკლებ 50-100 მილიარდი მანეთის) მარაგი. ასე რომ, შემცირდება ერთობლივი მოთხოვნაც (მაგალითად, პერიოდული გამოცემის ფასების გაზრდის გამო ის 34 %-ით დაეცა).

**— მოხდება თუ არა ბანკებში მოსახლეობის ანაბრების კომპენსაცია?**

— დღეს ჩვენ დაახლოებით 222 მილიონი ანგარიში გვაქვს, მათზე 400 მილიარდი მანეთია. ანაბრების 93 % — 10 ათას მანეთამდეა, ხოლო 25 ათას მანეთზე მეტი კი, როგორც ჯამის, ისე რაოდენობის მიხედვით, მხოლოდ 0,1 %-ია, ესე იგი მსხვილი ანაბრები ფაქტიურად არა გვაქვს. ასე რომ, სასურველია, ყველა ანაბრის კომპენსაცია დაახლოებით არასასურსათო საქონლის ფასების ერთდროული მომატების თანხის რაოდენობით (ეს დაახლოებით 30-40 %-ია) მოხდეს.

**— გავიგეთ, რომ მთავრობა, ინფლაციის შემცირების მიზნით, ყველა საწარმოს აქტივისა და კერძო პირების დანაზოგის 50 %-ის გაყინვას აპირებს.**

— მთავრობის გეგმებში ამის მსგავსი არაფერია. თუ არ ვიტყვით ერთს: შემნახველ სალაროებში მოსახლეობის ანაბრების გადაფასების დროს ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით სავარაუდოა, რომ გადაფასებული ფული (ანუ ანაბრების წანამატები) მაშინვე კი არ გაიცემა, არამედ რამდენიმე წლის განმავლობაში, რათა ამ ფულმა მაშინვე არ „ამოჰყოს“ თავი ბაზარზე. ასე მაგალითად, თუ ვთქვათ 10 ათასი მანეთის ანაბარი 3,5 ათას მანეთით გაიზარდა, ამ 3,5 ათასი მანეთის მიღება მეანაბრეს მაშინვე არ შეუძლია.

ათი ათას მანეთს კი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენებს. ამასთან, აქ, ანაბრების სიდიდისა და სხვა დეტალებიდან გამომდინარე, დიფერენცირებულ მიდგომას ექნება ადგილი.

**— როგორ იმოქმედებს რეფორმა ჩრდილოვან ეკონომიკაზე?**

— როცა არსებობს დოტაციის სისტემა, ჩრდილოვან ეკონომიკას ვერსად წაუხვალ. დოტაციას „ჭამს“ ის „ხდის“, ვინც პროდუქციის ანაწილებს, ანდა ის, ვინც შავ ბაზარზე გასატანად იღებს მას. ასე რომ, ფასების რეფორმა საგრძნობი დარტყმა იქნება შავი ბაზრისათვის. ახლა ამ ბაზარს მთელი ჩვენი ფული მიაქვს, საქონელი კი იქ ცოტაა. აქედან მოდის გაუგონარი ფასებიც.

**— განზრახული აქვს თუ არა მთავრობას ინდექსაციის გამოყენება, ანუ ხელფასის ფასების მომატებასთან დაკავშირება?**

— ბოლომდე ეს საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა. მაშინ ხომ ინფლაცია მთელ ეკონომიკას მოიცავდა. მაგრამ ინდექსაციასთან დაკავშირებული წინადადებები უკვე მომზადებულია და უახლოეს ხანებში განიხილება ქვეყნის ხელმძღვანელობასთან.

**— ლიტვაში ფასების მომატების გამო მთავრობა იძულებული გახდა გადამდგარიყო თუ სსრკ-შიც ასეთი რეაქცია მოჰყვება ფასების მომატებას, გადადგება თუ არა საკავშირო მთავრობა?**

— გადადგომა შეიძლება მოითხოვოს სსრკ უზენაესმა საბჭომ ან მთავრობა თავად გადადგეს, ჩვენ კიდევ არაერთი „არაპოპულარული“ ნაბიჯის გადადგმა მოგვიწევს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს, ჩვენ საქმეს წინა მთავრობასავით შუა გზაზე ვერ მივატოვებთ. და როცა ყველა ამ ნაბიჯებს გადავდგამთ, მხოლოდ მას შემდეგ დავუბრუნდებით გადადგომის საკითხს.

პუბლიკაცია მომზადებულია ყოველკვირეულის „არგუმენტი ფაქტი“ (№ 12, 1991 წ.) მასალების მიხედვით.

## დოტაციები და კომპენსაციები

სხვა გაზეთებიდან

ფასების მოახლოებულ რეფორმასთან დაკავშირებით წამოჭრილ შეკითხვებს უპასუხებს სსრკ ფასების სახელმწიფო კომიტეტი. მაშ ასე, ბევრს აინტერესებს:

**— მიეცემათ თუ არა კომპენსაციები დიასახლისებს სხვის კმაყოფაზე მყოფ პირებს, და პენსიონერებს, რომლებიც არ მუშაობენ?**

— დიახ, გაიცემა — 65 მანეთი თვეში.

**— ცოტა უხეშად თუ ვიანგარიშებთ, საბავშვო საქონლის ფასი სამჯერ გაიზრდება, მაშ როგორღა ჩავაცვათ და გავზარდოთ ბავშვები?**

— ყოველ ბავშვზე, თექვსმეტ წლამდე, თვეში გაიცემა 40 მანეთი, თუ ისინი სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში არ იღებენ დახმარებას (თუ კი იღებენ ასეთ დახმარებას, მაშინ ის 1,6-1,8-ჯერ გაიზრდება). გარდა ამისა, კიდევ გაიცემა დახმარება ტანსაცმლის, ფეხსაცმლის შესაძენად, ტრანსპორტით მგზავრობისათვის — არანაკლებ 200 მანეთისა წელიწადში 6 წლამდე ბავშვებისათვის, 240 მანეთი — 13 წლამდე და 280 მანეთი —18 წლამდე ბავშვებისათვის.

**— შეიცვლება თუ არა სტუდენტების სტიპენდია?**

— სტიპენდიები 2-2,5-ჯერ გაიზრდება.

**— გაიზრდება თუ არა ბენზინის ფასი?**

— ბენზინის, ისევე როგორც ელექტროენერგიის, გაზის, ნახშირის, შეშის ფასები მოსახლეობისათვის არ გაიზრდება.

**— თუ ჩვენი ოჯახი 60 ათას მანეთად ყიდულობს „ჟიგულის“, აგვინაზღაურდება თუ არა სხვაობა?**

— არა. თქვენ მხოლოდ საკუთარი ფინანსების იმედი უნდა გქონდეთ.

**— თუ შეიცვლება გადასახადები ფასების რეფორმის შემდეგ?**

— მოქალაქეთა შემოსავალი, გადასახადების გარეშე, გაიზრდება 60 მანეთით. 35%-მდე შემცირდება საწარმოთა შემოსავლის დაბეგვრა.

**— რა თანხა დაუბრუნდება მოსახლეობას კომპენსაციის შემდეგ?**

— კავშირის მასშტაბით 265 მილიარდი მანეთი.

**— ფასების ეს რეფორმა რომ არა, როგორი იქნებოდა სახელმწიფოს დოტაცია სახალხო მოხმარების საგნებზე?**

— 225 მილიარდი მანეთის ფარგლებში. მაგრამ დოტაციები ნაწილობრივ შენარჩუნებული იქნება ხორცის, თევზისა და რძის პროდუქციაზე. ეს დაახლოებით 50 მილიარდ მანეთს შეადგენს.

**— რას მოხმარდება ფასების მომატებით შემოსული სახსრები?**

— მასწავლებლების, ექიმების, კულტურისა და სოცუზრუნველყოფის მუშაკების ხელფასების მომატებას.

**— შეუძლიათ თუ არა რესპუბლიკებს ფასების დამოუკიდებლად შეცვლა?**

— იმდენად, რამდენადაც ცენტრის მიერ დადგენილი ფასები ზღვრული ხასიათისა იქნება, ანუ მითითებული იქნება ფასების ზემოთა ზღვარი, რესპუბლიკების მთავრობებს შეუძლიათ გარკვეულ საქონელზე თავად დააწესონ შედარებით დაბალი ფასები.

**— ფასების რეფორმის შემდეგ, ცხადია, ისევე როგორც ახლა, ადგილი ექნება შეუსაბამობებს, ბოროტმოქმედებასაც. მოხერხდება თუ არა ამით ალკვეთა?**

— სახელმწიფო ვაჭრობასა და სამომხმარებლო კოოპერაციაში აკრძალული იქნება სახელმწიფო რესურსებიდან გამოყოფილი საქონლის ზღვრულზე მეტ ფასად გაყიდვა. ფასებზე კონტროლის გაძლიერების მიზნით იქმნება ფასების სახელმწიფო ინსპექცია.

**— კომპენსაცია ხელფასს ხომ არ დაერთვება?**

— სამრეწველო დარგების მუშაკებს პირველ ხანებში საკომპენსაციო გადასახადები ცალკე უწყისში გამოეწერებათ, შემდეგ კი ეს თანხები განაკვეთსა და ხელფასს დაერთვება.

**— გადაუხდიან თუ არა კომპენსაციას იმათ, ვისაც ახლა ეზრდებათ ხელფასი — ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის მუშაკებს?**

— არა, რადგან კომპენსაცია (60 მანეთის ოდენობით) დაერთვება ახალ განაკვეთებსა და ხელფასებს.

**— როგორი იქნება მათი ხელფასი?**

— 15 მილიონ ადამიანს ხელფასები მოემატება, რასაც 17 მილიარდი მანეთი დასჭირდება. სახალხო განათლების, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვა დარგების მუშაკთა ხელფასი კომპენსაციის ჩათვლით, გაიზრდება 1-8-ჯერ ყველაზე მეტი (ორჯერ და მეტჯერ) მოემატებათ მედდებს, სანიტრებს, ფარმაცევტებს, კულტორგანიზატორებს, წრეების ხელმძღვანელებს, სკოლისგარეშე დაწესებულებების მეთოდისტებს; მასწავლებელი, იმავე დატვირთვისას, საშუალოდ 385 მანეთს მიიღებს, ექიმი — 390-ს.

ეს ხელფასები სახელმწიფოს მიერაა გარანტირებული. რესპუბლიკებს, საკუთარი რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეუძლიათ მათი გაზრდა.



# ჯუნა დავითაშვილი:

# „მე დასაჩივლებელი არაფერი მაქვს...“

თითქმის ორი ათეული წელია, საკავშირო პრესა შეუნელებელ ინტერესს იჩენს სახელგანთქმული მკურნალის ჯუნა დავითაშვილის ფენომენისადმი. ხშირია უარყოფითი პუბლიკაციებიც. მიუხედავად ამისა, ჯუნა ინტენსიურად მუშაობს, ატარებს ექსპერიმენტებს, პროპაგანდას უწევს ბიოენერგოთერაპიის განვითარებას, ებრძვის სკეპტიკოსებს, ცდილობს პრაქტიკულად დაუმტკიცოს ყველას მისი ფენომენის ძალა. და ამ ხნის მანძილზე, ძალიან იშვიათი იყო ისეთი პუბლიკაციები, სადაც მასზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანზე, იქნებოდა საუბარი, მისი ბიოგრაფიული, წმინდა სახის ყოფითი პრობლემები იქნებოდა წამოწეული წინა პლანზე.

სწორედ ამგვარი ინტერვიუ გამოქვეყნდა გაზეთ „სოვერშენნო სეკრეტნო“ 1990 წლის მე-11 ნომერში. ჟურნალისტ ევგენი სტეპანოვთან ინტერვიუში ჯუნა სწორედ ამ კუთხით წარმოჩნდა.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით. ვფიქრობთ იგი გარკვეულ წილად შეავსებს თქვენს წარმოდგენას ჯუნა დავითაშვილზე.

**— ვინ გიშლიდათ ყველაზე მეტად? იქნებ გვიამბოთ მათზე...**

— ისინი ბევრნი არიან. არა მგონია, რომ ეს ვინმესთვის საინტერესო იყოს, მაგრამ თუ თქვენ გინდათ გიპასუხებთ... მე ვმუშაობდი რადიოელექტრონიკისა და ტექნიკის ინსტიტუტში. ჩემი შესაძლებლობების შესასწავლად შეიქმნა მთელი ლაბორატორია, გამოიყო უზარმაზარი სახსრები, მათ შორის ვალუტაც, მოგვცეს შენობაც. ლაბორატორიამ ძალიან მალე მიაღწია წარმატებებს. გულის მაგნიტოგრამის გადაღება გოდიკმა და გულიაევმა (ლაბორატორიის თანამშრომლებმა) შეძლეს ჩემი იქ მუშაობის დროს. შემდეგ კი, როცა მათ რაც საჭირო იყო, მიიღეს. მე უკვე აღარ ვჭირდებოდი და გამაგდეს ინსტიტუტიდან. ამბობენ, რომ ეს მოხდა ზიმიანინისა და რომანოვის ბრძანებით. ისინი მაშინ მუშაობდნენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. დავრჩი უმუშევარი, მთელი ერთი წლის მანძილზე არ მაძლევდნენ შრომის წიგნაკს ხელზე, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტში მე მთელი სამწელიწადნახევარი ვიმუშავე. მათ არ უნდოდათ, რომ ჩემს შრომის წიგნაკში ყოფილიყო ჩანაწერი — უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

წელიწადნახევარი მე ვერ შევძელი მუშაობის დაწყება, თანაც მყავდა პატარა ბავშვი და მეუღლესთანაც გაცილებული ვიყავი. მოსკოვში ხომ მე ჩემი სურვილით არ ჩამოვსულვარ, მოსკოვში მე ჩამომიყვანეს.

მიუხედავად სირთულეებისა, მეცნიერებასთან კონტაქტი არ გამიწყვეტია. ვიყავი რახიმოვის ლაბორატორიაში შტატგარეშე მეცნიერ-მუშაკი. მე იქაც მპირდებოდნენ „ოქროს მთებს“, მაგრამ გამომიყენეს თავიანთი სამეცნიერო ინტერესებისათვის. იქ მიტარებდნენ სხვადასხვა ექსპერიმენტებს. ძირითადად ვმუშაობდი დასხივებულ, ბირთვულ წყალზე...

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გექცეოდნენ ასე ბარბაროსულად, არაკეთილმოსურნედ?**

— არ ვიცი. მაგრამ ვფიქრობ, მთელი ეს უსიამოვნებები დაიწყო მას შემდეგ, რაც თავისთან მიმიწვია მაშინ არც თუ ნაკლებცნობილმა და საკმაოდ დიდი გავლენის მქონე იური ჩურბანოვმა... მაგრამ საჭიროა ყველაფერ ამაზე საუბარი? მადლობა ღმერთს, რომ მე ამ ბლოკადიდან სუფთა და ჩირქმოუცხებლად გამოვედი... მეცნიერება ლოგინით არ კეთდება. მე ეს ყოველთვის ვიცოდი.

**— ჟურნალისტები თუ გეხმარებოდნენ?**

— სამწუხაროდ, ყველა არა. ბევრზე მე დღესაც გულნატკენი ვარ. იმ „უძრაობის წლებში“ განსაკუთრებით ბეჯითობდა ოლეგ მოროზი „ლიტერატურნაია გაზეტადან“. ის მტკიცედ, რეგულარულად და მიზანმიმართულად მიჩიჩინებდა. საინტერესოა, რატომ ახლა არ წერს არაფერს ამ თემაზე... მოებოდიშებინა მაინც?

**— კიდევ ვინ გიშლიდათ ხელს?**

— მე ყოველთვის ჩასაფრებული მყავდა პოლინა ვორონინა, რომელიც მაშინ მოსკოვის საქალაქო საბჭოს მედიცინას კურირებდა... მას უნდოდა ჩემს წინააღმდეგ სასამართლო პროცესის დაწყებაც კი. მისი დაჟინებული მოთხოვნით გამანთავისუფლეს მოსკოვის 36-ე პოლიკლინიკიდანაც, სადაც მე მქონდა ჩემი კაბინეტი და ვღებულობდი კიდეც ავადმყოფებს.

**— როცა თქვენ არ გწერდნენ მოსკოვში, რას საქმიანობდით, სად ცხოვრობდით?**

საფინანსო განყოფილებაში გავხსენი საპატენტო მასაჟის კაბინეტი. ასე ვცხოვრობდი. მინდოდა წავსულიყავი ბარმენად რესტორან „როსიასა“ ან „კონტინენტალში“, მაგრამ იქ მე არავის არ ვუნდოდი... შემდეგ მაინც მეცნიერებაში წავედი...

**— მითხარით, ჯუნა, რამდენი საათი გძინავთ?**

— მხოლოდ ორი-სამი საათი. ღამე — ეს ჩემი ზღაპრული სტიქიაა, დღე — ხალხს ეკუთვნის. დღისით მე ვმკურნალობ.

**— რამდენი წლის ხართ?**

— შემისრულდა 41 წელი. შეიძლება ითქვას, 101 წელიც, შეიძლება 70, 80... გულახდილად, თუ გინდათ, 18 წლის გოგონას არ ჩამოუვარდები არც ძალით, არც მოქნილობით, არც სილამაზით. თუმცა მამაკაცის საჭიროებას არ ვგრძნობ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ვერ ვნახე ჩემი იდეალის შესაფერისი მამაკაცი. მე ვეკუთვნი ხალხს. საქმროებს მე ყველას უარს ვეუბნებოდი, იცით, რამდენი მეძლეოდა?...

**— დაასახელეთ თუნდაც რამდენიმე, ყველაზე ცნობილი!**

— რობერტ დე ნირო, კრის კრისტოფერსონი, ჯონ დენვერი...

**— და რატომ არ დათანხმდით ცოლობაზე?**

— იმიტომ, რომ მე ჩემი სამუშაო მიყვარს ყველაზე და ყველაფერზე მეტად, მუშაობა — ხალხის საკეთილდღეოდ...

**— ოჯახი თქვენთვის — მთელი სამყაროა?**

— დიახ, და მე ეს ძალიან მახარებს.

**— წინათ თქვენ დიდხანს არ გიშვებდნენ საზღვარგარეთ, ახლა კი დიპლომატიური პასპორტი გაქვთ. რომელ ქვეყნებში იყავით ბოლო ხანებში?**

— ამერიკაში, გერმანიაში, იუგოსლავიაში, ავსტრიაში და სხვა...

**— ჯუნა, თქვენ ძალიან სტუმართმოყვარე და პურმარილიანი ბრძანდებით, უმასპინძლდებით ყველას, თანაც საკმაოდ კარგად. თავად თქვენ რომელი კერძი გიყვართ?**

— ჩემთვის სულ ერთია. ვჭამ იმას, რაც არის, რაც გვაქვს. ისე კი ძალიან ცოტას ვჭამ.

**— მაგრამ შევამჩნიე, რომ ბევრს ეწევით. საჭიროა გაუფრთხილდეთ თავს. თქვენ ჩვენ გვჭირდებით.**

— მე ვიცი მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც ნიკოტინი გამომყავს ჩემი ორგანიზმიდან.

**— თქვენ როგორღაც თქვით ერთხელ, რომ ჰარე კრიშნა კრიშნაიდური კი არა ასირიულია. თქვენ, ალბათ, იცით არა მარტო ასირიული კულტურა?**

— მე ვისწავლე მთელი ინდური ფილოსოფია; ჰათჰა-იოგა, რაჯა-იოგა. ვიცნობ მსოფლიოს უდიდესი ფილოსოფოსების რუდოლფ შტაინერის, ანდრეი ბელის, ვლადიმერ ვერნადსკის, ნიკოლაი რერიხის, მაიკლ მიოფის, დიკ ბეკერის და სხვათა წიგნებს.

**— ვინაა ყველაზე გამოჩენილი სწავლული?**

— ციოლკოვსკი.

**— ჯუნა, თქვენ ბევრი მეგობარი გყავთ შემოქმედებით ინტელიგენციაში. თქვენთვის ლექსები მიუძღვნიათ რობერტ როჟდესტვენსკის, ანდრეი ვოზნესენსკის და სხვებს. მაპატიეთ, მაგრამ ამბობდნენ, რომ თქვენ ისინი გიწერდნენ ლექსებს.**

— დიახ, მე რაში არ მადანაშაულებენ ხოლმე. ასეთი



ხმები სინამდვილეში იყო გავრცელებული. რა შემიძლია ამაზე ვთქვა? ზოგჯერ მე მიჭირს საჭირო სიტყვების მოძებნა, შერჩევა, რადგან რუსული და ასირიული სხვადასხვა ენებია. მაგრამ, რა თქმა უნდა, ლექსებს მე თვითონ ვწერ. პროფესიონალთა რჩევას კი ყოველთვის ყურს ვუგდებ. ერთხელ ანდრეი დემენტიევმა ლექსწყობის თეორიაზე წიგნიც კი მაჩუქა.

საერთოდ კი, ლექსების წერა უდიდესი სიამოვნებაა. მე დაწერილი მაქვს უამრავი ლექსი. გამოუქვეყნებელი ნაწარმოებებიდან დაახლოებით თორმეტი ტომი გამოვა.

**— ჯუნა, თქვენ ჩამოხვედით მოსკოვში ბრეჟნევის მმართველობის დროს. ჟურნალისტმა ლევ კოლოდნიმ მითხრა, რომ ლეონიდ ილიჩი დაგეხმარათ მოსკოვში მოწყობაში. მის შემდეგ როგორ გეხმარებოდათ ჩერნენკო, ანდროპოვი? როგორი კაცი იყო ლეონიდ ილიჩი, კარგი?**

— დიახ, მე ვაღმერთებ მას. თავს ვხრი მისი ხსოვნის წინაშე. არ არის საჭირო მასზე ცუდი ლაპარაკი. — ბრეჟნევის დრო არც თუ ცუდი დროა ჩვენი ისტორიისათვის. თუმცა, რა თქმა უნდა, იდეალურს მას ვერ უწოდებ. გაიხსენეთ, მაღაზიებში მაშინ ყველაფერი იყო, — ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც, პროდუქტებიც...

**— ჯუნა, თქვენ ბევრს მუშაობთ, სიცოცხლეს უნარჩუნებთ ბევრ ადამიანს. თქვენი ხელები მართლაც დაუფასებელია. და მაინც, რამდენს იღებთ?**

— მე ფული მაქვს, თუმცა ძირითადად არა მკურნალობიდან. სურათს დავხატავ — იყიდება, ლექსებისათვის ჟურნალები კარგად მიხდიან, 400-500 მანეთს ყოველ ციკლში, გამოდის ჩემი წიგნები. ცენტრში მეც, როგორც ჩემი ყველა თანამშრომელი, ვიღებ ათას მანეთს თვეში. რატომ უნდა მივიღო მე სხვებზე მეტი? ჩემს ცენტრში 36 კაცი მუშაობს. შემოსავალიც დაახლოებით ამდენივეა. თანხა ხელფასებზე და ცენტრის კეთილმოწყობაზე მიდის...

**— რას გააკეთებდით, თქვენ ეს ტალანტი რომ არ აღმოგჩენოდათ?**

— გავაჩენდი 13-14 ბავშვს, ვიქნებოდი გმირი დედა... შემდეგ შვილიშვილებს (ალბათ, 150-მდე იქნებოდა) მოვუვლიდი. ვასწავლიდი მათ ყველაფერს, რაც ვიცი და რაც შემიძლია.

**სურათებზე: ჯუნა ატარებს ექსპერიმენტს; რობერტ დე ნირო, მისი ქალიშვილი და ჯუნა.**

---

# პოეზია — ჟამთა სვლის მიჯნაზე







**(ქართული პოეზია იტალიურ კალენდარში)**

ცნობილმა იტალიელმა ქართველოლოგმა, ვენეციის უნივერსიტეტის პროფესორმა ლუიჯი მაგაროტომ გამოგვიგზავნა ვენეციაშივე გამოცემული 1991 წლის ტაბელ-კალენდარი. იგი გარკვეული პრინციპითაა შედგენილი. თითოეული წლის დრო წარმოდგენილია ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ლექსებით: ასე, მაგალითად, ზამთრის თვეები — რუსული პოეზიით (ბლოკი, პუშკინი, ფეტი), გაზაფხულისა — სპარსულით (XI ს.), — ზაფხულისა — პორტუგალიურით (XX ს.), ხოლო შემოდგომისა — ქართული პოეზიით, კერძოდ, სექტემბერი — გ. ტაბიძის ლექსით („შემოდგომის დღე...“), ოქტომბერი — შიო მღვიმელისა —(„დასევდიანდა ბუნება...“), ნოემბერი კი — ვაჟა-ფშაველას ლექსით („დარდმა შეიპყრო მთა-ბარი...“).

პოეზიის ნიმუშები ილუსტრირებულია სათანადო ქვეყნების ბუნებისა თუ ხელოვნების ღირსშესანიშნაობათა ფერადი ფოტოებით. „ქართულ გვერდებს“ ამშვენებს გრემისა და სვანეთის ფოტოები.

თითოეული ლექსი მოყვანილია დედნის ენაზე და მას ერთვის იტალიური თარგმანი. ქართული პოეზიის ნიმუშები თარგმნა ლუიჯი მაგაროტომ, დანარჩენი კი — ჯანრობერტო სკარჩამ. მკითხველს შევახსენებთ, რომ, სწორედ ეს ორი პირი უძღვება იტალიაში გამომავალი ქართველოლოგიური კრებულის Georgica-ს გამოცემას (I ტომი გამოქვეყნდა რომში 1985 წ., II — ბოლონიაში 1988 წ.). მათივე რედაქციით გამოვიდა ადრინდელი კრებული „ავანგარდიზმი თბილისში“ (ვენეცია, 1982).

(დასასრული მე-8 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამა საქართველოს ისტორიაში

1. საქართველოს ისტორიის საგანი.

2. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო.

3. წინაგვაროვნული საზოგადოება და გვაროვნული საზოგადოების ადრეული ეტაპები (ქვის ხანა) საქართველოში.

უძველესი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე, გვაროვნული საზოგადოების წარმოშობა, პირველყოფილი ადამიანის რწმენა-წარმოდგენები, ახალი ქვის ხანა (ნეოლითი), პირველყოფილ ადამიანთა სადგომები საქართველოს ტერიტორიაზე.

4. ქართველი ტომები და ტომთა კავშირები ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში.

ენეოლითი, ადრესამიწათმოქმედო მეურნეობის, მესაქონლეობისა და ხელოსნობის განვითარება. ქართველი ტომები ბრინჯაოს ხანაში, მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურები. ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩასახვა ქართველ ტომებში.

5. უძველესი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე.

დიაოხი, კოლხა. მითი არგონავტების შესახებ. დიაოხისა და კოლხას განადგურება.

6. ეგრისისა და ქართლის სამეფოების წარმოქმნა.

ეგრისის (კოლხეთის) სამეფოს წარმოქმნა, ბერძნული ახალშენები. ქალაქური ტიპის დასახლებანი კოლხეთში. „კოლხური თეთრი". ურთიერთობა აქემენიდურ ირანთან. ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნა. მეფე ფარნავაზი, წერილობითი წყაროები ქართლის სამეფოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაზე.

7. საქართველო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე.

პონტოს სამეფო. ქართლის ურთიერთობა სომხურ სამეფოებთან. პომპეუსის ლაშქრობა და რომაელთა, გავლენის დამყარება საქართველოში. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა I-II საუკუნეებში. დასავლეთ საქართველო რომაელთა ბატონობის ქვეშ. ანიკეტის აჯანყება, ახალი სამთავროების წარმოქმნა დასავლეთ საქართველოში. წერილობითი წყაროები საქართველო-რომის ურთიერთობასა და საზოგადოებრივი წყობილების შესახებ.

8. რელიგია და კულტურა ადრეკლასობრივი ხანის საქართველოში.

რელიგიური წარმოდგენები. კულტურა. ქალაქები. დამწერლობის ძეგლები.

9. საქართველო ფეოდალური ურთიერთობის საწყის ეტაპზე.

მეურნეობის დაწინაურება. სარწყავი მიწათმოქმედებისა და მებაღეობა-მევენახეობის განვითარება. თემის დაშლა. კერძო მიწათმფლობელობა. ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა. ურთიერთობა სასანიანთა ირანთან. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლსა და ეგრისში. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მნიშვნელობა. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ IV ს. ბოლოს და V ს-ის პირველ ნახევარში. ლაზების სამეფოს წარმოქმნა. წერილობითი წყაროები ქართლის გაქრისტიანებაზე; ლაზების შესახებ.

10. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის V საუკუნის მეორე ნახევარში. ვახტანგ გორგასალი.

კონფლიქტი ქართლის სამეფო ხელისუფლებასა და დიდაზნაურთა შორის. ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა. ვახტანგის ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. თბილისი — დედაქალაქი. წერილობითი წყარო ვახტანგ გორგასალზე. უძველესი ქართული წარწერა ბოლნისის ტაძარზე.

11. საქართველო VI საუკუნეში.

ქართლის აჯანყება ირანის წინააღმდეგ გურგენ მეფის მეთაურობით. მეფობის გაუქმება ქართლში. დიდი ომიანობა ეგრისში. ერისმთავრობის დაწესება ქართლში. ბიზანტიური წყაროები VI საუკუნის ქართლის და ეგრისის ისტორიულ მოვლენებზე.

12. საქართველო VII საუკუნეში. არაბთა ბატონობის დამყარება.

ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობანი საქართველოში. თბილისის აღება ხაზართა მიერ. ბიზანტიის გავლენის დამყარება საქართველოში. არაბთა სახელმწიფოს წარმოქმნა. არაბთა მფლობელობის დამყარება. წერილობითი წყაროები ხაზარებისა და არაბების ლაშქრობაზე საქართველოში. ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი.

13. საქართველო არაბთა ბატონობის უღელქვეშ.

მურვან-ყრუს ლაშქრობა. დავითისა და კონსტანტინეს გმირობა. არაბთა ბატონობის დამძიმება. იოანე საბანისძე. წერილობითი წყარო მურვან ყრუს ლაშქრობაზე.

14. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების აღმოცენება.

კახეთის სამთავროსა და ჰერეთის სამეფოს წარმოქმნა. აფხაზთა (ეგრისის) სამეფო „ქართველთა სამეფო" (ტაო-კლარჯეთი). წერილობითი წყარო აფხაზთა (ეგრისის) სამეფოს წარმოქმნაზე. თბილისის საამირო.

15. საზოგადოებრივი განვითარება და კულტურა IV-VIII საუკუნეებში საქართველოში.

ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება. ქართული ანბანი. ლიტერატურა. მეცნიერება. ხელოვნება. წერილობითი წყარო ფაზისის ფილოსოფიური სკოლის შესახებ.

16. ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის IX-X სს.

სახალიფოს დაშლის დასაწყისი. ბუღა თურქის ლაშქრობა. აბულ-კასიმის ლაშქრობა. ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ქვეყნის გაერთიანების წანამძღვრები. დავით კურაპალატის მოღვაწეობა. ბაგრატ III. წერილობითი წყაროები IX-X საუკუნეების საქართველოს შესახებ.

17. საქართველო XI საუკუნეში.

ბიზანტიის აგრესიის გაძლიერება. გიორგი I. ბაგრატ IV. დიდგვარიანი აზნაურების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. თურქ-სელჩუკთა პირველი შემოსევები. „დიდი თურქობა". წერილობითი წყაროები ბაგრატ მესამეზე, „დიდ თურქობაზე".

18. კულტურული ვითარება IX XI საუკუნეებში.

ქართული მწერლობა. მეცნიერება (ფილოსოფია, ისტორიოგრაფია), ქართული კულტურისა და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრები საქართველოში და საზღვარგარეთ. ხელოვნება.

19. საქართველოს გაერთიანების დამთავრება.

დავით აღმაშენებელი.

დავით IV-ის გამეფება. დავით აღმაშენებლის რეფორმები. ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ. სამშვილდის, რუსთავის, გიშის, ლორეს განთავისუფლება. დიდგორის ბრძოლა. თბილისი — საქართველოს სამეფოს დედაქალაქი. ბრძოლა სომხეთისა და შარვანისათვის. წერილობითი წყაროები დავით აღმაშენებელსა და დიდგორის ბრძოლაზე.

20. საქართველოს ფეოდალური მონარქიის გაძლიერება.

(XII-XIII სს დასაწყისი).

საქართველოს საგარეო ურთიერთობა დავითის მემკვიდრეების დროს. დემეტრე I, გიორგი III, დემნა ბატონიშვილის და ორბელთა აჯანყება. თამარის გამეფება. დიდგვაროვანთა გამოსვლა. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა. გიორგი რუსი, დავით სოსლანი. შამქორისა და ბასიანის ბრძოლები. ტრაპიზონის სამეფოს დაარსება. ლაშქრობა სპარსეთში. წერილობითი წყაროები ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლისა და შამქორის ომის შესახებ.

21. საქართველოს ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარება XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში.

სოფლის მეურნეობა. ქალაქები. ხელოსნობა. ვაჭრობა. ფინანსები. სოციალური ურთიერთობა და კლასობრივი ბრძოლა. წერილობითი წყარო მთის მოსახლეობის ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

22. საქართველოს სახელმწიფო წყობილება XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში.

დარბაზი. „ხელმწიფის კარისა" და „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელენი. სავაზირო.

23. კულტურა XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისში.

სწავლა-განათლებისა და კულტურის კერები. ლიტერატურა. მეცნიერება. „ქართლის ცხოვრება". ხელოვნება. წერილობითი წყაროები გელათის აკადემიის შესახებ.

24. საქართველო XIII საუკუნის პირველ მესამედში.

ლაშა-გიორგის მეფობა. მისი ბრძოლა დიდგვაროვანი ფეოდალების წინააღმდეგ. მონღოლები. მათი პირველი გამოჩენა საქართველოში. კალკაზე ბრძოლა. ჯალალ-ედ-დინის ლაშქრობანი. წერილობითი წყაროები ლაშა-გიორგის, ჯალალ-ედ-დინის ლაშქრობისა და მონღოლთა პირველი გამოჩენის შესახებ.

25. მონღოლთა ბატონობის დამყარება.

საქართველოსა და რუსეთის დაპყრობა მონღოლთა მიერ. მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდი საქართველოში. ცოტნე დადიანის გმირობა. წერილობითი წყაროები მონღოლთა ბატონობის შესახებ.

26. ქართველი ხალხის ბრძოლა თათარ-მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ.

ორმეფობა საქართველოში. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ მონღოლური გადასახადები. დავით ნარინისა და დავით ულუს აჯანყებები. დემეტრე მეორე თავდადებული. აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ XIII საუკუნის ბოლოს, წერილობითი წყაროები აღწერისა და მონღოლური გადასახადების, დემეტრე თავდადებულის შესახებ.

27. საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალე.

მონღოლთა ბატონობის შედეგები. გიორგი ბრწყინვალეს ურთიერთობა ირანის საილხანოსთან. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა. „ძეგლის დება". „ხელმწიფის კარის გარიგება". ბექა-აღბუღას სამართალი. საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენა. საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. წერილობითი წყაროები გიორგი ბრწყინვალეს შესახებ.

28. თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში და მისი შედეგები.

თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობა. ბაგრატ V. თემურ-ლენგის შემდგომი ლაშქრობები. თემურის ლაშქრობათა შედეგები. ალექსანდრე პირველის მოღვაწეობა. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად. წერილობითი წყაროები თემურის ლაშქრობებისა და ფეოდალთა დამოუკიდებლობის გაძლიერების შესახებ. ალექსანდრე I სიგელი.

29. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ XV საუკუნის ბოლოს და XVI ს-ის პირველ ნახევარში.

ცვლილებები საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაში. ბიზანტიის დაპყრობა ოსმალთა მიერ. უზუნ-ჰასანის ლაშქრობანი. კახეთი XV საუკუნის ბოლოს. კახეთის ურთიერთობა რუსეთთან. ქართლის სამეფო XV ს. ბოლოს. ყიზილბაშთა სახელმწიფო. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ლუარსაბ I მეთაურობით. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI ს-ის პირველ ნახევარში. სოხოისტის ომი. ჭანეთის, აჭარის, სამცხის დასავლეთ ნაწილის მიტაცება ოსმალთა მიერ. ოსმალთა აგრესია აფხაზეთში. წერილობითი წყაროები საქართველოს საშინაო მდგომარეობისა და საგარეო ურთიერთობების შესახებ.

30. საქართველო XVI საუკუნის მეორე ნახევარში და XVII საუკუნის დასაწყისში.

შაჰ-თამაზის შემოსევები. სვიმონ პირველის ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ. კახეთის სამეფო XVI ს-ში. ლევან კახთა მეფის ურთიერთობა რუსეთთან. „ფიცის წიგნი". ალექსანდრე მეორე კახთა მეფის მკვლელობა. აჯანყება კახეთში ქეთევან დედოფლის მეთაურობით. წერილობითი წყარო შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრების შესახებ. „ფიცის წიგნის" შინაარსი.

31. ქართველი ხალხის ბრძოლა ყიზილბაშური აგრესიის წინააღმდეგ XVII საუკუნეში.

ტაშისკარის ბრძოლა. გიორგი საააკაძე. ქეთევან დედოფლის წამება. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები. ბაზალეთის ბრძოლა. თეიმურაზ I და როსტომ ხანი. ბახტრიონის აჯანყება. წერილობითი წყაროები მარტყოფის ბრძოლისა და ბახტრიონის აჯანყების შესახებ.

32. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XVI-XVII საუკუნეებში.

ქართული სამეფო-სამთავროების სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა XVI-XVII საუკუნეებში. ქართული სამეფო-სამთავროების სოციალური აღნაგობა. ბატონყმური ექსპლუატაციის ზრდა. კლასობრივი ბრძოლა და მისი ფორმები. წერილობითი წყაროები საქართველოს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.

33. ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში.

ლიტერატურა. „ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებები. საისტორიო პოეზია. ნათარგმნი ძეგლები. ხუროთმოძღვრება. მხატვრობა.

34. ქართული სამეფო-სამთავროები XVII ს-ის ბოლოსა და XVIII ს-ის პირველ ნახევარში.

ქართლ-კახეთის მაჰმადიანი მმართველები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში. ვახტანგ მეექვსის სახელმწიფოებრივი, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში. ვახტანგ VI სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან, „ოსმალობა", „ყიზილბაშობა". თეიმურაზ II და ერეკლე II გამეფება. წერილობითი წყაროები XVIII ს-ის I ნახევრის ქართლ-კახეთის შესახებ.

35. შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება XVIII ს-ის 50-70-იან წლებში.

ბრძოლა ამიერკავკასიაში პირველობისათვის. ბრძოლა დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმების წინააღმდეგ. მჭადიჯვრის და ყვარლის ბრძოლები. თეიმურაზ II ელჩობა რუსეთში. ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება. ერეკლე II-ის ბრძოლა რეაქციონერ თავადებთან (1765 წ. შეთქმულება). დასავლეთ საქართველო.

სოლომონ I-ის მოღვაწეობა. ხრესილის ბრძოლა. სამხედრო კავშირი ერეკლე მეორესა და სოლომონ I შორის. რუსეთ-თურქეთის ომი და საქართველო. ასპინძის ბრძოლა. წერილობითი წყაროები „მორიგე ლაშქრისა" და ტყვეთა სყიდვის შესახებ.

36. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XVIII ს-ის მეორე ნახევარში.

მეურნეობის აღდგენა-აღორძინება. საქალაქო ცხოვრება. წვრილი ხელოსნური წარმოება. სამთამადნო წარმოება. ვაჭრობის განვითარება. ყმა-გლეხთა ექსპლუატაციის გაძლიერება. გადასახადების ზრდა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება. ერეკლე II საგლეხო პოლიტიკა. წერილობითი წყაროები ერეკლე II საგლეხო პოლიტიკის, იმერეთის სამეფოს ეკონომიკური მდგომარეობისა და თბილისის შესახებ.

37. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება.

ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVIII ს-ის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში. 1783 წლის ტრაქტატი. საგარეო ურთიერთობა და საშინაო მდგომარეობა ტრაქტატის შემდეგ. რუსეთ-თურქეთის 1787-1791 წლების ომი და საქართველო. აღა-მაჰმად ხანის შემოსევა. კრწანისის ბრძოლა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება. ტრაქტატისა და 1790 წ. ხელშეკრულების შინაარსი.

38. ქართული კულტურა XVIII ს-ის II ნახევარში.

საზოგადოებრივი აზრი. სკოლები. სტამბა. ისტორიული მწერლობა, ლიტერატურა და ხელოვნება. იოანე ბატონიშვილის პროექტი.

39. აღმოსავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში.

ახალი მმართველობის შემოღება აღმოსავლეთ საქართველოში. აჯანყება მთიანეთში 1804 წ. აჯანყება კახეთში 1812-1813 წწ.

1832 წ. შეთქმულება საქართველოში.

დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს შეერთება რუსეთთან. 1804 წლის აჯანყებულ გლეხთა საჩივარი.

40. საქართველო XIX საუკუნის 30-50-იან წლებში. გლეხთა აჯანყებები.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება 30-50-იან წლებში. გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს.

41. ქართული კულტურა XIX ს-ის პირველ ნახევარში.

სახალხო განათლება. ლიტერატურა. ხელოვნება. მეცნიერება. დოკუმენტები XIX საუკუნის შუა წლების საქართველოს კულტურის შესახებ.

42. ბატონყმური მეურნეობის კრიზისი 30-50-იან წლებში.

ბატონყმური მეურნეობის კრიზისი საქართველოში და მისი კაპიტალისტური გარდაქმნის პერსპექტივები. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარება. კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. კაპიტალისტური განვითარების ორი გზა — პრუსიული და ამერიკული.

გლეხთა აჯანყებები სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთში. ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და სხვა. „საქართველოს მოამბე". ქრისტეფორე მამაცაშვილის მოგონება.

43. ბატონყმობის გაუქმება საქართველოში.

საგლეხო რეფორმის მომზადება. საგლეხო რეფორმის პროექტები. საგლეხო რეფორმის გატარება. რეფორმის თავისებურებანი საქართველოში. საგლეხო რეფორმის მნიშვნელობა.

## 31 მარტის რეფერენდუმისთვის

**მანოლი ლიხაილიდი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:** ჩვენც და თქვენც პატარა ერის შვილები ვართ — თავისუფლებისათვის მებრძოლნი. ალბათ ამიტომ ვუგებ ადვილად ქართველებს, ასე რომ წყურიათ დამოუკიდებლობა. რეფერენდუმზე უარის თქმა ღალატად მიმაჩნია იმ მიწის, იმ ცის ღალატად, სადაც ვცხოვრობთ; იმ ადამიანების ღალატად, ვისაც არაერთი სიხარული უჩუქებია ჩემთვის. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობისა და ღირსების გრძნობით მივალ 31 მარტს საარჩევნო ყუთთან და მივცემ ხმას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. XIX ს-ის 70-იანი წლების რეფორმები.
სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება. სასამართლო რეფორმა. საქალაქო თვითმმართველობის დაწესება. რეფორმების მნიშვნელობა.
45. კაპიტალიზმის განვითარება.
კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში. ნატურალური მეურნეობის შეცვლა სასაქონლო მეურნეობით. მემამულურ მეურნეობათა კაპიტალისტური ევოლუცია. ცვლილებები სოფლის მოსახლეობის საზოგადოებრივ სტრუქტურაში.
კაპიტალიზმის განვითარება მრეწველობაში. მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი. საქართველოს სამრეწველო ბურჟუაზიის წარმოშობა და მისი განვითარების თავისებურებანი. სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება.
46. საქართველოსთან აჭარის და სამხრეთ-დასავლეთის სხვა ტერიტორიების კვლავ შეერთება და ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაცია.
აჭარა თურქეთის უღელქვეშ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ-ის ომი. ქართველების მონაწილეობა ომში. ომის შედეგები. ქართველი ერის შემდგომი კონსოლიდაცია. ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ XIX ს-ის მეორე ნახევარში.
47. საქართველოს გლეხთა მოძრაობა და ხალხოსნები.
გლეხთა მოძრაობის მიზეზები. გლეხთა აჯანყებები XIX ს-ის მეორე ნახევარში. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში. ქართველი ხალხოსნების მიზნები. რევოლუციონერ-ხალხოსანთა არალეგალური ორგანიზაციის შექმნა და მისი განადგურება მთავრობის მიერ.
48. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზები და ხასიათი.
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზეზები. XIX ს-ის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურება. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრესული მნიშვნელობა.
49. თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის იდეურ-თეორიული წყაროები და შინაარსი.
თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის იდეურ-თეორიული წყაროები. დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზრი და თერგდალეულები. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები და თერგდალეულები. განსხვავებანი ქართველ თერგდალეულებსა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს შორის. თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის შინაარსი. თერგდალეულები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეში.
50. თერგდალეულთა დაშლა „დასებად".
პირველი უთანხმოებანი თერგდალეულთა რიგებში. „პირველი დასი" (ილ. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ალ. ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა) და მისი პროგრამა. „მეორე დასი" (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი) და მისი პროგრამა.
51. მუშათა მოძრაობის დაწყება და მარქსიზმის გავრცელება.
მუშათა მოძრაობის დაწყება. საქართველოს მუშათა გაფიცვები. მარქსიზმის გავრცელება და „მესამე დასი". „მესამე დასის" არალეგალურ-რევოლუციური ფრთა და მისი პროგრამა. „მესამე დასის" ლეგალურ-დემოკრატიული ფრთა და მისი პროგრამა. „მესამე დასის" ეროვნულ-ნიჰილისტური პოზიცია.
52. ქართული კულტურა XIX ს-ის მეორე ნახევარში. ქართული ენისა და ლიტერატურის განვითარება.
ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება. ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის როლი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, კრიტიკულ-რეალისტური მეთოდის დამკვიდრება მხატვრულ ლიტერატურაში. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, რ. ერისთავი, გ. წერეთელი, ან. ფურცელაძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ე. გაბაშვილი, ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ი. ევდოშვილი, ვ. ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ვ. ლომთათიძე.
53. ეროვნული პრესისა და პუბლიცისტიკის აღმავლობა.
ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, სერგი მესხის როლი პრესისა და პუბლიცისტიკის განვითარებაში. მათ მიერ დაარსებული ჟურნალ-გაზეთები.
54. სახალხო განათლება და მეცნიერება.
სახალხო განათლება. კავკასიის დამოუკიდებელი სასწავლო ოლქის აღდგენა. დაწყებითი სკოლების ქსელის გაფართოება. იაკობ გოგებაშვილი და ქართული პედაგოგიური აზრი. დიდი ქართველი მეცნიერები — ივანე თარხნიშვილი, დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, პეტრე მელიქიშვილი, ვასილ პეტრიაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, პლატონ იოსელიანი, სულხან ბარათაშვილი, მოსე ჯანაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანია.
55. ქართული ხელოვნება.
ხუროთმოძღვრება. თეატრალური ხელოვნება. თბილისის ქართული თეატრის აღდგენა. ქუთაისის თეატრის ჩამოყალიბება. ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, მაკო საფაროვა, ვალერიან გუნია.
სახვითი ხელოვნების განვითარება. რომანოზ გველესიანი, ალექსანდრე ბერიძე, გიგო გაბაშვილი, ალექსანდრე მრევლიშვილი, მოსე თოიძე, ნიკო ფიროსმანიშვილი, გრიგოლ ტატიშვილი, იაკობ ნიკოლაძე. ეროვნული მუსიკის აღორძინება. ხარლამპი სავანელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ლადო აღნიაშვილი.
56. საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში. 1905-1907 წწ. რევოლუციის დასაწყისი.
რევოლუციური სიტუაციის მომწიფება. მუშათა გაფიცვები რევოლუციის წინ. გლეხთა კომიტეტების შექმნა. მებრძოლ ძალთა განლაგება და პოლიტიკურ პარტიათა ჩამოყალიბება.
57. პოლიტიკური პარტიების პროგრამა, სტრატეგია და ტაქტიკა რევოლუციაში.
სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების პროგრამა. სოციალ-დემოკრატი მენშევიკების პროგრამა. სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა. სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პროგრამა. ეროვნულ-დემოკრატების პროგრამა. ქართველი ანარქისტების პროგრამა.
58. რევოლუციის აღმავლობა და დამარცხება.
რევოლუციის განვითარება 1905 წლის პირველ ნახევარში. ივნისის საყოველთაო გაფიცვა. გლეხთა მოძრაობა. გლეხთა რევოლუციური კომიტეტების შექმნა. საქართველო სრულიად რუსეთის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის დროს. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება საქართველოში. რევოლუციის დამარცხების მიზეზები. რუსეთის პირველი რევოლუციის მნიშვნელობა საქართველოსთვის.
59. საქართველო რუსეთის პირველ და მეორე რევოლუციებს შორის პერიოდში (1907-1916).
საქართველო რეაქციის პერიოდში (1907-1910). სტოლიპინის აგრარული რეფორმა და საქართველო. მეფის მთავრობის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე — ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა. მენშევიკების გავლენის გაძლიერება. არაპროლეტარული პარტიები. მენშევიკურ პარტიასთან დაახლოების ტენდენცია. საქართველო ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში (1910-1914). საქართველო პირველ მსოფლიო ომში (1914-1916). საქართველოს პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ომისადმი. მეურნეობის ნგრევა.
60. საქართველო რუსეთის მეორე და მესამე რევოლუციებს შორის პერიოდში (1917 წ. თებერვალი — 25 ოქტომბერი).
თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. რევოლუციის გამარჯვება საქართველოში. ორხელისუფლებიანობა — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი"). საქართველო რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გზით გადაზრდისათვის ბრძოლის პერიოდში. საქართველო ოქტომბრის რევოლუციის მომზადების პერიოდში.
61. საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.
საქართველო ამიერკავკასიის კომისარიატის პერიოდში. ვითარება ა/კავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა. ბოლშევიკების ბრძოლა ა/კ-ის კომისარიატის წინააღმდეგ. თურქეთის მიერ შეტევის განახლება. ამიერკავკასიის სეიმის შექმნა. სეიმის შემადგენლობა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.
62. ქართული კულტურა 1901-1917 წლებში მხატვრული ლიტერატურა.
ლიტერატურა: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, კონდრატე თათარაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძე.
63. პრესა და პუბლიცისტიკა.
დარგობრივი და სპეციალური ჟურნალ გაზეთები. პარტიული პრესა. ქართული პრესისა და პუბლიცისტიკის მთავარი დანიშნულება.
64. განათლება.
ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა განათლების დარგში. დაწყებითი და საშუალო სკოლების რაოდენობის ზრდა. დიდი ქართველი პედაგოგები — იოსებ ოცხელი, სილოვან ხუნდაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, ლუარსაბ ბოცვაძე, თედო რაზიკაშვილი, ნიკოლოზ ჯანაშია.
65. მეცნიერება.
პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლა ნიკო მარის მეთაურობით. ახალი ეტაპი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში — ივანე ჯავახიშვილი. ექვთიმე თაყაიშვილის, თედო ჟორდანიას, სარგის კაკაბაძის, დავით კარიჭაშვილის, სერგი გორგაძის ღვაწლი ქართველოლოგიის განვითარებაში. იოსებ ყიფშიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, კორნელი კეკელიძის მოღვაწეობის დასაწყისი. ქართველი მეცნიერები რუსეთის უნივერსიტეტებში.
66. ხელოვნება.
ხუროთმოძღვრება. თეატრი. პროფესიული თეატრები. სახალხო თეატრები. ქართული კინემატოგრაფიის პირველი ნაბიჯები. სახვითი ხელოვნება. ქართული მუსიკის განვითარება.
67. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წლებში.
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. ურთიერთობა თურქეთთან, ევროპის სახელმწიფოებთან, საბჭოთა რუსეთთან. ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა. დამფუძნებელი კრების არჩევნები. აგრარული რეფორმის მომზადება. სამოქალაქო ომის დამთავრება რუსეთში და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აზერბაიჯანსა და სომხეთში. 1920 წლის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან. საქართველოს ოკუპაცია წითელი არმიის მიერ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლა.
68. სსრ კავშირის შექმნა.
საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში. სსრ კავშირის შექმნა.
69. საქართველო მეორე მსოფლიო ომში.
მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი. გერმანიის თავდასხმა სსრ კავშირზე. სამხედრო თავდაცვითი მუშაობა. სახალხო მეურნეობის გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. ქართველები ომის ფრონტებზე. შრომითი გმირობა ზურგში. ქართველი მხედართმთავრები და პარტიზანები ომში. ქართული კულტურა ომის წლებში.
70. ახალი საქართველო.
პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები საქართველოში. ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" გამარჯვება. ეროვნული პარლამენტის მოღვაწეობის პირველი შედეგები. გარდამავალი პერიოდის გამოცხადება და მისი შინაარსი.

## 31 მარტის რეფერენდუმისთვის

**კამო შარმაზიანი, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი, მილიციის მაიორი:**
გადმოცემით ვიცი, რომ სომეხი ბაგრატიდების სატახტო ქალაქ ანის დიდი მიწისძვრისა და თურქ-სელჩუკების შემოსევის შედეგად 1123 წელს ბევრმა იქაურმა სომეხმა, მათ შორის ჩემმა წინაპრებმაც, დავით აღმაშენებლის წყალობით ტფილისს თავი შეაფარეს. უკვე დაახლოებით 868 წელია ჩვენ თბილისის მკვიდრნი ვართ. უდავოა, იმ ისტორიულ დღიდან ჩემი გვარის წარმომადგენლები უშუალო მონაწილენი და მოწმენი იყვნენ დავითისა და თამარისდროინდელ ძლიერ საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესებისა, თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ მის კეთილდღეობაში. მამაჩემს ისიც უთქვამს, რომ ერთ-ერთი ჩვენი წინაპარი, სახელად სოლომონი, ვახტანგ VI სტამბაშიც მუშაობდა. სწორედ მას შემდეგ დამკვიდრდა ჩვენს ოჯახში პოლიგრაფისტების დინასტია.
ბედის უკუღმართობამ დიდი ხნით წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა. ცხოვრების ბობოქარ ტალღებზე პატარა ნავივით აქანავა, მაგრამ ვერ შესძლო მისი ჩაძირვა. ამ ნავში სხვა ერის შვილებიც ისხდნენ და ერთად უმკლავდებოდნენ სტიქიის მოძალებას.
31 მარტის რეფერენდუმით კვლავ მოგვეცა რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენის რეალური საშუალება. მისი თავისუფლებით აქ მცხოვრები სხვა ერებიც ბედნიერებას ჰპოვებენ. მეტად საამაყო იქნებოდა, საქართველოს დამოუკიდებლობის ახალი წელთაღრიცხვა ჩემგან და ჩემი შვილებისაგან დაწყებულიყო და არასოდეს შეწყვეტილიყო — უკუნიდან უკუნისამდე.

●

**სერგო არუთინოვი, ტაქსის მძღოლი:** ის მიკვირს, რად უნდა რეფერენდუმი და ხალხის გამოკითხვა. აქ დაბადებული და გაზრდილი სომეხი ვარ. ქართველი მეგობრები და ახლობლები მყავს. მე მაშინ ვიქნები კარგად, როცა ისინი იქნებიან კარგად. საქართველო მაცხოვრებს, მასმევს და მაჭმევს მეც და ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს. რაღა თქმა უნდა იმას, რომ საკუთარი თავით რომ მართავ ოჯახს თუ სახელმწიფოს, უკეთ წარმართავ, უკეთ იცხოვრებ. მე ვიტყოდი — ყველა ნაღდი თბილისელი სომეხი ბოლომდე დავდგებით ქართველების გვერდით.

●

## საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!
უკანასკნელ წლებში მიმდინარე საბჭოთა იმპერიის დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა თავისუფლებისათვის გადამწყვეტ ფაზაში შედის. იმპერიის საფუძველი შეირყა და მას ვეღარაფერი გაამაგრებს. შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ იმპერიის აგონიას ადასტურებს 17 მარტის რეფერენდუმი. კრემლმა თავად დააყენა საჯაროდ ეჭვის ქვეშ იმპერიის არსებობის მიზანშეწონილობა.
ბოიკოტით 17 მარტის რეფერენდუმზე ჩვენ უარი ვთქვით:
—საბჭოთა ტოტალიტარულ იმპერიაზე, რომელმაც უბედურების მეტი არაფერი მოუტანა, როგორც მასში მცხოვრებ ხალხებს, ასევე მთელ მსოფლიოს.
—სისხლიან ტერორზე და რეპრესიებზე, რომელიც აუცილებელი თანამდევია სსრკ-ის არსებობისა.
— ხალხებისა და ადამიანების სრულ უუფლებობაზე განაგონ საკუთარი ბედი;
— უკიდურეს ეკონომიკურ გაჭირვებაზე, უმძიმეს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე, რაც თან სდევს საბჭოთა რეჟიმს.
დაბოლოს უარი განვაცხადეთ იმაზე, რომ ჩვენი დარჩენილი სიცოცხლე, ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა, ჩვენმა შთამომავლებმა აღარ ვიცხოვროთ იმ ჯოჯოხეთში, რომელსაც სსრკ ერქვა 69 წლის განმავლობაში.
●
1991 წლის 31 მარტს ტარდება რეფერენდუმი-გამოკითხვა საქართველოში. ბიულეტენში შეტანილი იქნება ერთი კითხვა: თანახმა ხართ, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დეკლარაციის საფუძველზე.
რასაკვირველია, სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს, როგორც სახელმწიფოებრივ ერთეულს და მის მოსახლეობას, თვითგამორკვევა არ ესაჭიროება. თავისი ნებით საქართველოს მოსახლეობას არასოდეს უთქვამს უარი დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობაზე და მას ეს უფლება ყველა სამართლის წესით გააჩნია და ამიტომ ასეთი სურვილის გამომჟღავნება ამ თვალსაზრისით ზედმეტიც კია, მაგრამ უფლებას რეალიზაცია სჭირდება და სწორედ რეალიზაციისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე შემდგომ ნაბიჯის გადასადგმელად არსებულ პოლიტიკურ რეალობათა გათვალისწინებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს.
დღევანდელ საქართველოში მეტად რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, და სოციალური მდგომარეობაა. საზოგადოებრიობასა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში არსებობს მიდგომათა სხვადასხვაობა არსებულ პრობლემათა მოგვარების შესახებ. მაგრამ 31 მარტი ის დღეა, როდესაც მთელი ქართველი ხალხი, საქართველოს მთელი მოსახლეობა ერთადერთ აზრზე უნდა იყოს. აქ საკითხი მარტივია — გვსურს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა. **დადებითი პასუხი ნიშნავს არა რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერას, არამედ ლოიალობას საქართველოსადმი, ჩვენი სამშობლოსადმი.** უარყოფითი პასუხი, ჩვენი აზრით, ქართველი ხალხის ნების, ისტორიის წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმას ნიშნავს.
ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო! ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, აზერბაიჯანელნო, სომეხნო, რუსნო, ბერძენნო, ებრაელნო, ქურთნო, ყველა [illegible] წარმომადგენელნო! ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობა ქართველი ერის ძირძველი ტრადიციაა, ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ობიექტური საფუძვლები ეროვნებათაშორისი კონფლიქტებისათვის საქართველოში ოდესაც არ არსებობს. ხელოვნურად გამოწვეული გართულებების მოგვარებისა და ტრადიციულად კეთილი ურთიერთობის აღდგენისათვის აუცილებელია, გაცნობიერება ყოველი ჩვენგანის მიერ ყველა იმ უფლებისა და მოვალეობისა, იმ პასუხისმგებლობისა, რომელიც მოქალაქეს გააჩნია საკუთარი სამშობლოს წინაშე. დამოუკიდებელი დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აღდგენა გვევლინება საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა რეალურ გარანტიად. არაქართული მოსახლეობის აქტიური ჩართვა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ერთობლივი ბრძოლა დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის, ურთიერთნდობისა და საქართველოში ჭეშმარიტი სამოქალაქო საზოგადოების აშენების საწინდარია.
**დაე, 1991 წლის 31 მარტი უოფილიყოს ჩვენი ურთიერთგაგებისა, ეროვნული თანხმობისა, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენილთა სოციალური ფენების თუ პოლიტიკური ჯგუფების შორის კეთილგანწყობისა და საერთო საქმეში თანამშრომლობისა.**
**მოგიწოდებთ 1991 წლის 31 მარტს, ყველამ ერთად ხმა მივცეთ დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკლამის მსურველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რეკლამებისა და განცხადებების შესაკვეთად მიმართეთ სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკს“.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ. №1

ტელეფონი: 37-06-64 ან 37-58-25 (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა („ვცვლი ბინას“, „გვესაჭიროება“, „ვყიდი“, „ვყიდულობ“, „ვასწავლი“, „ვაქირავებ“ და ა.შ.) მოგვმართეთ 15.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრში 4 მანეთია, კერძო პირებისათვის იგივე ფართი — 2 მანეთი.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## მცირე საწარმო „კიდოგანი“

იღებს ინდივიდუალურ დაკვეთებს მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებებისაგან მასიური ანტიკვარული ავეჯის წარმოებისათვის. მიიღება ინდივიდუალური დაკვეთები წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით.

დაკვეთები მიიღება: სამუშაო დღეებში (ორშაბათის გარდა) 15.00 სთ-დან 19.00 სთ-მდე. შაბათ-კვირას 12.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

მისამართი: თბილისი, სუმბათაშვილის ქ. №6

ტელეფონი: 22-71-80

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## საზღვარგარეთული კონტრაქტები

წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კერძო პირებს, რომელთაც აქვთ კონვერტირებული ვალუტა და სურთ ამა თუ იმ საქონელის, დაზგა-დანადგარების ან მოწყობილობების შეძენა საზღვარგარეთ, დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ ფირმა „ზევს-ს“, რომლის მისამართია: თბილისი, წერეთლის 74. ტელეფონი: 35-18-27

ფირმა „ზევს“-ის დახმარებით თქვენ საზღვარგარეთ შეიძენთ ნებისმიერ საქონელს.

ეწვიეთ ფირმა „ზევს“-ს.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

## იყიდება

ფრანგული მანქანა „რენო“. საჭე ჰიდროგამაძლიერებლით, სტარტერი ავტომატური. ფარები და გარეთა სარკე რეგულირდება სალონიდან. ძრავი 2000სმ³. 105 ც.ძ. დამონტაჟებულია „watson“-ის ფირმის სტერეომაგნიტოფონი, გამაძლიერებლითა და რვა დინამიკით. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ

ტელ: 35-18-27 10-დან 16 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

## დიაგნოზი — უტყუარი, მკურნალი — უზადო

ადამიანის ბუნებით ბოძებული დიდი სიმდიდრეა ჯანმრთელობა. ფიზიკური და სულიერი ძალების შესანარჩუნებლად მიმართეთ კოოპერატივ „გასტროჰეპატოლოგიას“, სადაც მუშაობა დაიწყო ხალხური მედიცინის უმაღლესი სკოლის დიპლომირებულმა სახალხო მკურნალმა ნონა ბენიძემ. მკურნალი თავისი თბილი ხელებით უტყუარ დიაგნოზს სვამს. მის თვალებს შეუძლია გაუგოს ავადმყოფს გასაჭირი. მასთან მისული პაციენტი არასოდეს უკმაყოფილო არ წასულა. სახალხო მკურნალი იყენებს მაღალ ეფექტურ ბიოველს და წერტილოვან მასაჟს. სეანსის მსვლელობისას იგი მიმართავს ფსიქოთერაპიას, რაც პაციენტს ეხმარება ღრმა შთაგონებითი ძალის წარმოქმნაში.



ქ-ნი ნონას შთაბეჭდილების წიგნში მრავალი მადლობაა ჩაწერილი, მისი ჯადოსნური ხელებით დამუხტული წყალი სასარგებლოა დასალევად. ქ-ნი ნონა მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: ოსტეოხონდროზს, რადიკულიტს, უძილობას, სხვადასხვა სახის ანთებებს, მათ შორის პროსტატას, გინეკოლოგიურ დაავადებებს, სხვადასხვა სახის ნერვოზებს, ქოლეცისტიტს, კუჭ-ნაწლავის ფუნქციონალურ დარღვევებს, ჰაიმორიტს, კლიმაქსის ნარჩენ მოვლენებს, რევმატიულ დაავადებებს. ამასთან ერთად პაციენტს აქვს შესაძლებლობა მკურნალობის და მკურნალობის მეთოდის ათვისებისა. გაძლევთ დადებითი და ეფექტიანი მკურნალობის გარანტიას.

ჩვენი მისამართია: დიღმის მასივი, ლაღიძის №4, თერაპიის ს/კ ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსი, მე-5 სართული, ოთახი №48, ყოველდღე 16⁰⁰ საათიდან 20⁰⁰ საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

დღეს, 26 მარტს, 14 საათზე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონცერტი. იგი ეწყობა საბავშვო და მოზარდთა მუსიკის XX კვირეულის ფარგლებში. მისი ინიციატორია საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური ცენტრი.

## შეიქმნა „დემოკრატიული ტრიბუნა“

ამა წლის 23 მარტს ქ. თბილისში პოლიტგანათლების სახლში მოეწყო საქართველოს საზოგადოებრიობის საგანგებო შეკრება საქართველოში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. სხდომას თავმჯდომარეობდნენ აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე და ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია. სიტყვით გამოვიდნენ: პროფესორი გ. ყორანაშვილი, თ. კვირკველია, ი. ბათიაშვილი, აკადემიკოსი ალ. ჯავახიშვილი, ი. წერეთელი თ. კვაჭანტირაძე ბ. კაკუბავა, ო. მელვინეთუხუცესი, რ. კლიმიაშვილი, ი. სარიშვილი, ქ. ლარიბაშვილი, პოეტი მ. ქვლივიძე, ზ. კიკნაძე აკადემიკოსი ნ. ჭავჭავაძე და სხვებ. შეკრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია ყველა ეროვნულ-პოლიტიკური ძალის შორის კონსენსუსის აუცილებლობა, ოღონდ ამას წინ უნდა უძღოდეს პოლიტპატიმართა განთავისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სრული თავისუფლება. შეკრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება „დემოკრატიული ტრიბუნის“ შექმნის შესახებ, რომლის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, როგორც პარტიული, ასევე უპარტიო, რომლისთვისაც ძვირფასია დემოკრატიისა და საქართველოს თავისუფლების პრინციპები.

ამა წლის 30 მარტს, დღის 2 საათზე, პოლიტგანათლების სახლში (დ. აღმაშენებლის გამზირი № 61) დანიშნულია „დემოკრატიული ტრიბუნის“ მორიგი შეკრება, რომელზედაც მოწვეულნი არიან საქართველოს სტუდენტობის წარმომადგენლები.

# პოეზია — ჟამთა სვლის მოწმე

(დასასრული)

ქართველ საზოგადოებას არაერთხელ რგებია სიამოვნება პირადად ეხილა და თავის ენაზე მოესმინა ბ-ნი ლუიჯის გამოსვლები ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ ქართველ მწერალთა საიუბილეო სესია-სხდომებზე. გარდა მრავალი ნარკვევისა ჩვენი მწერლობის შესახებ, მას ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული იტალიური თარგმანები გალაკტიონის ლექსებისა (1985) და ილიას მოთხრობისა „სარჩობელაზედ“ (1987). უკანასკნელ წლებში ლ. მაგაროტო წარმატებით უძღვება მის მიერვე ვენეციის უნივერსიტეტში დაარსებულ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას, რომელიც ქართველოლოგთა ახალ კადრებს ამზადებს.

ახლახან მიღებული პოეტური კალენდარი კიდევ ერთი დადასტურებაა იტალიელი მეცნიერისა და პრაქტიკოსი მთარგმნელის წრფელი სიყვარულისა საქართველოსადმი. ეჭვი არ არის, ამ კალენდრის გაცნობა პოეზიის ყველა ჭეშმარიტ მოყვარულს სასიამოვნოდ დაურჩება, მაგრამ ქართველებს მაინც ამ შეჭირვების ჟამს განსაკუთრებული მიზეზი გვაქვს კმაყოფილების გამოსახატავად. მაშ, ნუღარ დავაყოვნებთ და ჩვენი მადლიერება და პატივისცემა დავუდასტუროთ ამ ბრწყინვალე პოეტური ფანტაზიის ხორცშემსხმელთ: **ლუიჯი მაგაროტოს, ჯანრობერტო ხკარჩას**, გამომცემელს **რიკარდო ციპოლის** (რომელმაც ეს კალენდარი მიუძღვნა თავის ვაჟს, ყრმა დომენიკოს — წელიწადის დროთა პირველად გაცნობის აღსანიშნავად), მის მეგობარს **მახიმო ფალანის** — ამ გამოცემის ინიციატორს, და, ბოლოს, მხატვარ-გრაფიკოსს — **ალბერტო პრანდის**.

ამასთანავე, იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს შესანიშნავი კალენდარი ახალ იდეებს აღუძრავს ჩვენს გამომცემლებს ამ მიმართულებით და ფრთას შეასხამს ახალგაზრდა შემოქმედთა ფანტაზიას.

შუქია აფრიდონიძე

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ბ-ს შარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 66400

რედაქტორი
მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096.
მ. კოსტავას ქ. № 14.